გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№9 (1035) 28 - 29 იანვარი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი


## „ოცნების“ უმრავლესობა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე ევა გოცირიძეს გულშემატკივრობს

გვ. 2

წავა თუ არა კოტე კუბლაშვილი უკრაინაში და რომელ მოსამართლეებს უჩივიან დაზარალებული ბიზნესმენები

## ШСС-მ უპრეცედენტო ოდენობით, 6,295 კგ კოკაინი ამოიღო

„ეს ფაქტი აღასტურებს, როგორ ეფექტურად ებრძვის დღეს შსს ნარკოდანაშაულს“

გვ. 10

## ირმა ინიშვილი: „მარტიდან „ოცნების“ წინაალმდეგ ქუჩაში ათასობით ადამიანი გამოვა!“

ვინ რატომ გზავნის შეტყობინებებს ინაშვილის სახელით და მზადდება თუ არა პროვოკაცია 31 იანვარს დაგეგმილ აქციაზე?!

გვ. 6

## ექსკლუზიური ინტერვიუ დიასპორის მინისტრთან

„დღეს საქართველო მზად არაა, დაბრუნებულთა დიდი მასები ღირსეულად მიიღოს... სამშობლოში დაბრუნება ზოგადად, ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ყველა ამ პრობლემის მოგვარებას ერთი კონკრეტული სამინისტრო, მით უმეტეს, 1 200 000-იანი ბიუჯეტით, ცხადია, ვერ შეძლებს. ჩვენ ამ პროცესის თანამონაწილენი ვართ “

გვ. 3

ვინ არის ემიგრანტებისთვის ყველაზე პოპულარული ქართველი

## ბელორუსულ სოსისში აფრიკული ჭირის გენეტიკური ჩხირები აღმოაჩინეს

ემუქრება თუ არა საქართველოს უძველესი ვირუსული დაავადება?

გვ. 8

## „სენტა პეტროლიუმი“ ბაზარზე ახალი ტარიფებით ბრუნდება

გვ. 6

## გოჩა ჯოჯუა „ოცნებასთან“ შეკრულ ოპოზიციას ასახელებს

რატომ გადაიფიქრა პოლიტიკიდან წასვლა და წაართმევს თუ არა მითვისებულ პარტიას ნინო ბურჯანაძეს

გვ. 4

## „კაიბიჭები“ უკრაინაში მორიდიორობენ

ქართველი კრიმინალები ომში მონაწილეობისთვის „ხელფასად“ იარაღს ითხოვენ

გვ. 7

პატიმრის დღიური

# „ოცნების“ უმრავლესობა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე ევა გოცირიძეს გულშემატკივრობს

## წავა თუ არა კოტე კუბლაშვილი უკრაინაში და რომელ მოსამართლეებს უჩივიან დაზარალებული ბიზნესმენები

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**ვინ დაიკავებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტს კონსტანტინე კუბლაშვილის შემდეგ —ამ კითხვაზე პასუხს მთელი საქართველო ერთი თვეა ეძებს. მსჯელობისას ზოგი ისე შორს წავიდა, სავარაუდო ჩამონათვალში ირინა იმერლიშვილის, თინა ხიდაშელის, ეკა ბესელიასა და გედევან ფოფხაძის გვარებიც კი გამოჩნდა. თუმცა „ვერსიასთან“ პირად საუბარსა და ინტერვიუებშიც დეპუტატებს ეს ინფორმაცია სასაცილოდ არ ეყოთ. პარლამენტში არც გუნდის შიგნით გია მეფარიშვილის კანდიდატურაზე მსჯელობა დაგვიდასტურეს.**

უფლებამოსილების ვადა კონსტანტინე კუბლაშვილს თებერვლის შუა რიცხვებში, დაახლოებით, 2 კვირაში ეწურება. კანონით, ახალი თავმჯდომარის კანდიდატურა პრეზიდენტმა უნდა დაასახელოს, ეს მისი იმპერატიული უფლებაა, თუმცა საბოლოოდ, ამ კანდიდატურას პარლამენტი ან დაამტკიცებს, ან არა. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია პრეზიდენტს არავისთან შეთანხმებას არ ავალდებულებს, საპარლამენტო უმრავლესობასთან მოლაპარაკება მაინც მნიშვნელოვანია: თუ საქართველოს პარლამენტი პრეზიდენტის მიერ დასახელებულ ყველა კანდიდატურას ჩააგდებს, არც ისაა გამორიცხული, თვეების განმავლობაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გარეშე დავრჩეთ. კულუარულად, ცნობილი ხდება, რომ „ოცნების“ უმრავლესობა გიორგი მარგველაშვილზე ნაწყენია — კონსულტაციებზე ჩვენამდე ნაციონალებსა და თავისუფალ დემოკრატებს რატომ დაუძახა, დავით საგანელიძესთან შესახვედრად კი დრო ვერ გამონახაო, თუმცა ტელეკამერების წინ არც ამას იმჩნევენ. ფაქტი ჯიუტია: საგანელიძე-მარგველაშვილი ჯერ კიდევ გასულ კვირაში უნდა შეხვედროდნენ, შეხვედრის თარიღი კი დღესაც ჩასანიშნია. ვიდრე პარლამენტი პრეზიდენტთან ამ და მისი საპარლამენტო მოსმენის საკითხზე კინკლაობას მორჩება, უმრავლესობა-უმცირესობიდან ინფორმაცია ისევ გამოდის. ამჯერად, რაკი ამ ინფორმაციას თავად დეპუტატები გვაწვდიან, ალბათ, დასახელებული ორი კანდიდატურა სიმართლესთანაც უფრო ახლოსაა: ორივე იუსტიციის საბჭოს წევრია, მათგან ერთ-ერთის სახელი კი აქამდე არც გაჟღერებულა: ეს ევა გოცირიძეა, მინდია უგრეხელიძის, სტრასბურგში პირველი ქართველი მოსამართლის მეუღლე, ხოლო მეორე — ლადო ჭანტურია, რომელიც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ერთხელ უკვე იყო.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო სულ 15 წევრისგან შედგება. გოცირიძე-ჭანტურიას გარდა, იუსტიციის საბჭოს წევრები თამარ ალანია, მერაბ გაბინაშვილი, შოთა გეწაძე, ევა გოცირიძე, ილონა თოდუა, ვახტანგ თორდია, გოჩა მამულაშვილი, ზაზა მეიშვილი, ვახტანგ მჭედლიშვილი, პაატა სილაგაძე, კახაბერ სოფრომაძე და გიორგი შავლიაშვილი არიან, იუსტიციის საბჭოს მდივანი კი ლევან მურუსიძეა. მართალია, კულუარებში ლევან მურუსიძის კანდიდატურაც დასახელდა და თავადაც განაცხადა, თუ შემომათვაზებენ ამ პოსტს, ეს ჩემთვის დიდი პატივი იქნებაო, მაგრამ უკვე გაჟღერდა ვერსია, რომ მას პრეზიდენტთან თეა წულუკიანი, ნაციონალები და კოტე კუბლაშვილი ლობირებენ, მაგრამ ნაკლებსავარაუდოა, მისი კანდიდატურა განხილვის საგნად იქცეს, რადგან მას უკვე გაუხსენეს სულხან მოლაშვილისა და სანდრო გირგვლიანის საქმეები და ისიც, რომ თურმე მურუსიძე სწორედ იმ ჯგუფის წევრია, რომელიც აფერხებს სასამართლოში გარკვეული გახმაურებული საქმეების განხილვას. თუმცა სასამართლო სისტემაში ერთი მურუსიძის პრობლემა რომ იყოს, მარტივად ეშველებოდა საქმეს. სხვათაშორის, აგორებული სკანდალის ფონზე „ვერსიას“ ინფორმატორი დაუკავშირდა, რომელმაც გარკვეული ინფორმაცია მოგვაწოდა რამდენიმე მოსამართლეზე — საუბარია ბიზნესმენების გაჭიანურებულ საქმეებზე და ჯგუფზე, რომელიც ამ საქმეებით, ინფორმატორის ეჭვით, „ხელის მოთბობას“ ახალი ხელისუფლების პირობებშიც კარგად ახერხებს. ინფორმატორი ასახელებს საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს გიორგი სულაკაძესა და სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს ლაშა კალანდაძეს, რომელთა სამეგობროში ასევე მოიაზრება ადვოკატი დავით ასათიანი. მისი ვარაუდით, მოსამართლეები საქმეებს პირველ და მეორე ინსტანციებში კეტავენ, რასაც შესანიშნავად ახერხებენ სწორედ კოტე კუბლაშვილთან მეგობრობით — გადაუმოწმებელი ინფორმაციით, გიორგი სულაკაძე პალიკო კუბლაშვილის სტუდენტობის მეგობარია, ხოლო ლაშა კალანდაძის შვილის ნათლია — დავით ასათიანი. „ვერსია“ ამ ფაქტზე მოკვლეულ მასალებს უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ და შეეცდება, ყველა ის ფაქტი გადაამოწმოს, რომელსაც ბიზნესმენი ასახელებს, ასევე გაარკვიოს, რამდენად რეალურია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იგივე სულაკაძესა და კალანდაძეზე არაერთმა მომჩივანმა მიმართა დისციპლინარული სასჯელის მოთხოვნით, თუმცა რეაგირება ჯერჯერობით არ არის. სხვათა შორის, კულუარებში საინტერესო ინფორმაცია ვრცელდება ჯერ კიდევ მოქმედ თავმჯდომარეზეც — შესაძლოა, სხვა ნაციონალის კვალდაკვალ, კონსტანტინე კუბლაშვილიც უკრაინაში წავიდეს, სადაც სასამართლო რეფორმების ჯგუფს თუ არ ჩაუდგება სათავეში, ამ ჯგუფში მაინც იქნება. როგორც ცნობილია, ამ თემაზე კონსულტაციები უკვე დაწყებულია. თუმცა კუბლაშვილის უკრაინული მომავლის გარკვევამდე ერთი თვეა, 4 თებერვლის შემდეგ საქართველოში უზენაესი სასამართლოს გარშემო საპარლამენტო ციებ-ცხელება დაიწყება. მანამდე კი კულუარულად დასახელებული ორი კანდიდატის მინი-დოსიეს გაგაცნობთ:

**ლადო ჭანტურია** 2014 წლის 19 თებერვლიდან დღემდე საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია გერმანიაში. იგი განათლებით იურისტია. 1992 წლიდან დამოუკიდებელი საქართველოს კანონმდებლობის შექმნაში მონაწილეობდა, განსაკუთრებული წვლილი კი სამოქალაქო კოდექსისა და კერძო სამართლის სხვა კანონების შექმნაში შეიტანა. 1993-1996 წლებში იუსტიციის მინისტრის მრჩეველი იყო. 1998-1999 წლებში — საქართველოს იუსტიციის მინისტრი. 1999 წელს კი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ დაინიშნა. როგორც „ვერსიისთვის“ გახდა ცნობილი, ლადო ჭანტურიას შარშან საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელიც შესთავაზეს, მაია ფანჯიკიძის დემონსტრაციული გადადგომის შემდეგ.

ლადო ჭანტურიას არც **ევა გოცირიძე** ჩამოუვარდება. იგი უზენაეს სასამართლოში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ცენტრის დირექტორადაც. ამავდროულად, უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სწავლული მდივანი და საერთაშორისო ურთიერთობათა კოორდინატორიც იყო. 1997 წელს კი იუსტიციის საბჭოს წევრი გახდა. 2005 წლიდან ევა გოცირიძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მრჩეველია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. იურისტი ქალბატონი „საქართველოს სამოსამართლეო კოდექსის“ „მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ დებულებისა და კანონპროექტების, ასევე, საქართველოს მოსამართლის ფიცის ოფიციალური ტექსტის ავტორია. მისი თანაავტორობითაა შექმნილი ახალი სისხლის სამართლის კოდექსიც. 2013 წელს იგი საქართველოს კონსტიტუციის კომენტარის თანაავტორიც გახდა. ამავე წლის 14 ივნისს პარლამენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად აირჩია. ასე რომ, ევა გოცირიძესაც და ლადო ჭანტურიასაც „ოცნების“ ხელისუფლებასთან გადაკვეთის წერტილები ნამდვილად აქვთ და არცერთი მათგანი ნაციონალურ მოძრაობასთან არ ასოცირდება. მართალია, დეპუტატთა ერთი ნაწილი ამტკიცებს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურებზე გუნდში მსჯელობა არ მიდის, პრეზიდენტის შეთავაზებებს ველოდებითო, მაგრამ მეორე ნაწილი პირად სიმპათიებს არ მალავს და აცხადებს, რომ დასახელების შემთხვევაში სწორედ ევა გოცირიძეს დაუჭერენ მხარს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მინდია უგრეხელიძე 2012 წელს „ქართული ოცნების“ სამართლის დარგობრივ ჯგუფს ედგა სათავეში. მის კანდიდატურას პარლამენტში ყველაზე აქტიური სახეები გულშემატკივრობენ და, დიდი ალბათობით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე, შესაძლოა, სწორედ ევა გოცირიძე ვიხილოთ.

# შსს-მ უპრეცედენტო ოდენობით — 6,295 კგ კოკაინის საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტი აღკვეთა

## „ეს ადასტურებს, როგორ ეფექტურად ებრძვის დღეს შსს ნარკოდანაშაულს“

2015 წლის 24 იანვარს, სამცხე ჯავახეთში, სასაზღვრო გამშვებ პუნქტ ნინოწმინდაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო დეპარტამენტისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, ამოიღეს 10 შეკვრა დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე, შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ნინოწმინდის სასაზღვრო გამშვებ პუნქტში დააკავეს ბულგარეთის სამი მოქალაქე: 1995 წელს დაბადებული საშო ტ, 1996 წელს დაბადებული გეორგ ა. და 1981 წ. დაბადებული რუსი კ.

სასაზღვრო კონტროლის გავლისას, დაკავებულებს სხეულზე წებოვანი ლენტით მიმაგრებული, 10 შეკვრად დაფასოებული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება კოკაინი აღმოაჩნდათ. სამართალდამცველებმა მათი პირადი ჩხრეკისას 8,5 კგ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, 6,295 კგ კოკაინს შეიცავს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებს ნარკოტიკული საშუალება სომხეთის რესპუბლიკიდან საქართველოში უკანონოდ შემოჰქონდათ. დადგინდა, რომ ამოღებული ნარკოტიკის ღირებულება 2 მილიონ 500 ათასი დოლარია.

შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის, დავით ცინარიძის განმარტებით, გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 262-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით). საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, მადლობა გადაუხადა მათ, ვინც დამნაშავეების მხილება-დაკავებაში მიიღო მონაწილეობა. **დავით ცინარიძე: „ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა, რადგან აქამდე, საქართველოში, ამ რაოდენობის ნარკოტიკული საშუალება კოკაინი სამართალდამცავებს არ ამოუღიათ. მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და შინაგან საქმეთა მინისტრის სახელით, მადლობა გადავუხადო, სამცხე-ჯავახეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს და სამცხე-ჯავახეთის საბაჟო სამსახურის თანამშრომლებს, რომლებმაც ოპერატიულად და პროფესიონალურად გამოავლინეს და აღკვეთეს ეს უმძიმესი დანაშაული“.**

დავით ცინარიძის განმარტებით, აღნიშნული ფაქტი, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დღეს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სხვა უწყებებთან კოორდინაციაში, ეფექტურად ებრძვის ნარკოდანაშაულს და საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ლეგალიზაციას.

*„ვერსიანიუსი“*

# ექსკლუზიური ინტერვიუ დიასპორის მინისტრთან

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**20 წელი ინტერვალის გარეშე იმუშავა საჯარო სამსახურში. მხატვარია და ფილოლოგი, თუმცა მისი ძირითადი პროფესია დიპლომატიაა, ამიტომაც ამტკიცებს, რომ რუსეთთან საუბარს აზრი ყველა ვითარებაში აქვს, ხალხსა და ხელისუფლებას შორის კი პატიოსანი დიალოგია საჭირო. 2008 წელს რუსეთის საელჩოში მსახურობდა, მოგვიანებით — უკრაინაში. საუბრობს მექანიზმზე, რომლითაც ქართველი ემიგრანტების აღრიცხვა და მათი არჩევნებში მონაწილეობაა შესაძლებელი... ამბობს, არ ვიტყუები და ხალხს დღესვე საქართველოში არ ვეპატიჟები, პირიქით, ვისაც საკუთარი თავის რეალიზება აქ არ შეუძლია, ბედი უცხოეთში უნდა სცადოსო. „ვერსია“ დიასპორების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, გელა დუმბაძის ინტერვიუს გთავაზობთ.**

„დღეს საქართველო მზად არაა, დაბრუნებულთა დიდი მასები ღირსეულად მიიღოს“

**— საჯარო სამსახურში მუშაობის 20 წლისთავზე, დიასპორების საკითხთა მინისტრობა თქვენი კარიერის პიკია?**

— ვფიქრობ, არა და ამაში საჯარო სამსახურის იერარქიას არ ვგულისხმობ. ჩემი მწვერვალი ადამიანის სულიერი წინსვლაა. მინისტრობა კი სრულიად ჩვეულებრივი ამბავი და გარკვეულწილად, 20 წლის განმავლობაში ჩემი ყოველდღიური შრომისა და პრინციპულობის შედეგია. მინისტრის პორტფელი არავისთვის მითხოვია, უბრალოდ, ასე მოხდა — ჩემი სოციალური აქტივობა 1987 წელს დავითგარეჯას აქციითა და სტუდენტური გამოსვლებით დაიწყო. ეროვნული მოძრაობიდან წამოსვლის შემდეგ ერთ-ერთი პირველი კერძო სასწავლებელი გავხსენი საქართველოში. 32 წლის ასაკში საგარეო საქმეთა სამინისტროში სტაჟიორად მივედი და 4 წლის შემდეგ დაიწყო ჩემი „მომთაბარეობა“: ჯერ აზერბაიჯანის საელჩოში ვიყავი მრჩეველი, ჩემი მუშაობის დაწყებისა და დასრულების თანმდევი კი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დაწყება-დასრულება იყო. 2005 წელს დიასპორებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი ვიყავი, მაშინ ამ სამინისტროს ცალკე არსებობაზე საუბარიც არ იყო. შემდეგ რუსეთის ფედერაციაში წავედი და იქ ძალიან რთულ, 2007-2009 წლებში მომიწია მუშაობა. სამშობლოში დაბრუნებიდან 3 თვეში, ისევ გამგზავრება მომიწია — 4 წელი უკრაინაში ვიმსახურე. შემდეგ უზბეკეთში ელჩის მოვალეობას 10 თვის განმავლობაში ვასრულებდი. სწორედ იქ მივხვდი, რომ დავიღალე და ჩემს მეგობრებს ერთი და იგივე შეტყობინება გავუგზავნე: შვილიშვილი მენატრება, დაბრუნება და მუშაობის სამშობლოში გაგრძელება მსურს, თქვენს საქმიან შემოთავაზებებს ველი-მეთქი. სხვადასხვა წინადადებები მივიღე, ძირითადად, სახელმწიფო ორგანიზაციებში. ყველაზე მოულოდნელი ის იყო, რომ პრემიერ-მინისტრმა დამიბარა და დიასპორების მინისტრის მოადგილეობა შემომთავაზა. სხვა, უფრო მაღალანაზღაურებადი შეთავაზებებიც მქონდა, მაგრამ დავთანხმდი. აქ მუშაობა მინისტრის მოადგილედ დავიწყე და 45 დღეში მინისტრი გავხდი.

**— სამინისტრო ძალიან პატარაა — შტატი გყოფნით?**

— დღევანდელი ამოცანებისა და არსებული გაზრდილი ბიუჯეტისთვის, რომელიც 1 200 000 ლარია, შტატიც საკმარისია.

**— სამინისტროს დაფინანსება პარლამენტში დიასპორების კომიტეტის ბიუჯეტის ტოლია, რაც ძალიან ცოტაა. სხვათა შორის, გუბაზ სანიკიძემ განაცხადა, ბიუჯეტი გაისად ორჯერ თუ არ გაგვეზრდება, პოსტს დავტოვებო — თქვენც ხომ არ ხართ ასეთი ემოციური განცხადების ხასიათზე?**

— ემოციური განცხადების ხასიათზე არ ვარ. თანმიმდევრულად, პრაგმატულად ვაზროვნებ და სხვათა შორის, ჩვენი ბიუჯეტი 300 000 ლარით უკვე გაიზარდა.

**— რამდენიმე თვის წინ პრემიერმა თქვა, დიასპორული პოლიტიკა შესაცვლელიაო. ეს განცხადება განცხადებისთვის გაკეთდა თუ რამე მართლაც შეიცვალა?**

— დღეში 7-8 დელეგაციას ვიღებთ და დიასპორებთანაც საკმაოდ მჭიდრო კონტაქტი გვაქვს. წელს დავიწყეთ პროექტი „გაუზიარე შენი გამოცდილება სამშობლოს“. უცხოეთში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდების მონაცემთა ბაზა გვაქვს და ვუკავშირდებით. ისინი წამყვანი ქალაქების უნივერსიტეტებში სწავლობენ და პროფესიულ გამოცდილებას აქ მცხოვრებ ახალგაზრდებსაც გაუზიარებენ. ამ სლოგანით წლის განმავლობაში ბევრი ღონისძიება ჩატარდება. მაისის ბოლოს პირველი პროფესიული კონგრესის მოწყობას ვგეგმავთ, სადაც სხვადასხვა დიასპორის წარმომადგენელი ჩვენი თანამემამულეები, ექიმები, ინჟინრები, გამომგონებლები, ხელოვნების მუშაკები, დიასპორულ ორგანიზაციათა ლიდერები, საკვირაო სკოლების, ანსამბლების ხელმძღვანელები ერთმანეთს პროფესიული ნიშნით შეხვდებიან. მათ აქაც შესაბამისი დარგების სპეციალისტებს დავახვედრებთ. რეალურად, წარსულში მსგავსი შეხვედრები მხოლოდ კონცერტის დონეზე ტარდებოდა. ახლა კი, საქმიანი ფორუმის მოწყობას ვაპირებთ. შარშან დიასპორული კვირეულიც ჩავატარეთ, სადაც დიასპორულ ინვესტიციებს კონფერენცია მივუძღვენით. ვისაუბრეთ ახალ პროგრამაზე, რაც ფულადი გადმორიცხვების ტარიფების შემცირებასა და საოჯახო ბარათების სერვისის დანერგვას გულისხმობს. ამ ყველაფერს, ცხადია, ჩვენი ფინანსები არ ეყოფოდა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები დაგვეხმარნენ.

**— ეს ყველაფერი სახელმწიფოს ინტერესში არ შედის? რა არის საერთოდ ამ სამინისტროს და სახელმწიფოს მიზანი დიასპორებთან მიმართებაში?**

— საქმიანობას ორი ძირითადი მიმართულებით ვავითარებთ: უცხოეთში ჩვენი თანამემამულეების დახმარება ეროვნული თვითმყოფადობისა და ენის შესანარჩუნებლად და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში.

**— ამ სამინისტროს არსებობის არსი ჩვენი თანამემამულეების სამშობლოში დაბრუნება არ არის? სხვა საკითხია, რატომ უნდა მოუნდეს უცხოეთში წასულს საქართველოში დაბრუნება.**

— სამოქმედო პოლიტიკაში, ეს, რა თქმა უნდა, ჩადებულია, თუმცა სამშობლოში დაბრუნება ზოგადად, ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ყველა ამ პრობლემის მოგვარებას ერთი კონკრეტული სამინისტრო, მით უმეტეს, 1 200 000-იანი ბიუჯეტით, ცხადია, ვერ შეძლებს. ჩვენ ამ პროცესის თანამონაწილენი ვართ.

**— საუკუნის კითხვაც უნდა დაგისვათ, რადგან მასზე პასუხი ვერც ერთი ხელისუფლების დროს ვერ გავარკვიეთ — საქართველოდან სულ რამდენი ადამიანია გასული ამ დროისთვის?**

— ზოგადად, აგიხსნით, სად და როგორ აღირიცხებიან ქვეყნიდან გასული ადამიანები განვითარებულ ქვეყნებში. როცა პირი, ვთქვათ, გერმანიიდან ინგლისში მიდის, საკუთარი ქვეყნის დიპლომატიურ მისიაში საკონსულო აღრიცხვაზე დგება. ასევე, საზღვრის გადაკვეთის მომენტშიც შეიძლება ზოგადი სტატისტიკის დადგენა, მაგრამ რთული გასარკვევია, მათგან რომელია ტურისტი, სტუდენტი ან ვინ მიდის ქვეყნიდან სამუდამოდ, ამიტომ ზუსტი მონაცემები ახლაც არ არსებობს, დაახლოებით კი დღეს ქვეყნიდან 1,5 მილიონი ადამიანია გასული. მათგან აღრიცხვაზე მყოფი, შესაძლოა, მეათედიც არ იყოს. არალეგალურად გასული ადამიანები, მართალია, ჩვენს სამინისტროს არ ეხება, თუმცა, ასე ვთქვათ, მუდამ „ვიხებთ“. დიასპორა არალეგალთა ჯგუფს კი არა, წლების განმავლობაში ადგილზე დაფუძნებულ ხალხს ნიშნავს, თუმცა ვცდილობთ, მათთვისაც პროვაიდერის ფუნქცია შევასრულოთ.

**— მეგონა, მილიონი ქართველი მარტო რუსეთში ცხოვრობდა, რადგან ეს მითი მუდმივად გვესმოდა. რაკი რუსეთში სწორედ 2007-2009 წლებში მუშაობდით, იქაური ქართველების თვალით დანახული აგვისტოს ომის შესახებ გვიამბეთ და ახლა რამდენი ქართველი ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში?**

— ითვლება, რომ რუსეთში ყველაზე ბევრი ქართველია, თუმცა მილიონი ნამდვილად არა, ეს მართლაც მითია. იმ მძიმე წლებში სწორედ რუსეთში ვიყავი და თვალ-ყურს ვადევნებდი, რუსეთის აგრესიული პოლიტიკის გაუთვალისწინებლად, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მხრიდან, შიდა მოხმარებისათვის გაკეთებულ უხეშ განცხადებებს, რასაც ჩვენი მოქალაქეების „შტაბელებით“ საქართველოში გამოყრა მოჰყვა. არავის გაუთვალისწინებია, რა შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ ემოციურ განცხადებებს.

**— დღეს, როცა ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა არ არსებობს, რა რესურსი გაქვთ მათ დასახმარებლად?**

— არსებობს ინტერნეტი, სკაიპი, სხვადასხვა სოციალური ქსელი და ციფრული კომუნიკაცია. ამ ადამიანებთან და დიასპორულ ორგანიზაციებთან მუდმივი კონტაქტი გვაქვს. რუსეთი ჩვენთვის მაინც ცალკე თემაა, რადგან, ჯერ ერთი, იქ ძალიან ბევრი ქართველი ცხოვრობს და თუ გადმორიცხვებსაც გავითვალისწინებთ, მისი 63% სწორედ რუსეთიდანაა. ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან თუ ამოვდივართ, ჩემი აზრით, დიალოგს აზრი ნებისმიერ ვითარებაში აქვს. დიალოგი შეიძლება ისე აწარმოო, შენი პოლიტიკური ღირსება სრულად დაიცვა და არც ინტერესებს უღალატო! ოღონდ ჩვენი ინტერესების დაცვისას სხვა ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებაც უნდა ვისწავლოთ და, თუ ეს ორი ერთმანეთთან დისონანსშია, მაშინ დიალოგისას მაქსიმალურად გააზრებული და პრინციპული პოზიცია უნდა გვქონდეს.

**— უკრაინაში 4 წელი მუშაობდით, იქ რამდენი ქართველია და დღეს, საომარ ვითარებაში ეს რიცხვი თუ შეიცვალა — იქ ახლა ბევრი ქართველი იბრძვის, მათ ან იმ ხალხს რამით თუ ეხმარებით, ვისაც საქართველოში დაბრუნება არ შეუძლია?**

— არაოფიციალური მონაცემებით, დღეს იქ 50 000-მდე ქართველი ცხოვრობს. საომარი მდგომარეობიდან გამომდინარე, შესაძლოა, ეს რიცხვი შემცირებულიყო.

*დასასრული მე-4 გვერდზე*

ვერსიანიუსი

## შინაგან საქმეთა მინისტრმა დაჭრილი პოლიციელები მოინახულა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა საავადმყოფოში მოინახულა 23 იანვარს, ლიკანში მომხდარი ინციდენტის დროს დაჭრილი პოლიციელები.

სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ბორჯომის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლები — გიორგი ბერუაშვილი და გიორგი მახარაშვილი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ფეხით პატრულირებისას წარსულში მრავალჯერ ნასამართლევმა, ბორჯომში მცხოვრებმა, 1977 წელს დაბადებულმა შალვა აბულაძემ ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით პოლიციელი დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მინისტრი პოლიციელების ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესდა და განაცხადა, რომ საჭიროების შემთხვევაში დაჭრილ სამართალდამცველებს მკურნალობა და ოპერაცია საზღვარგარეთ ჩაუტარდებათ. ვახტანგ გომელაური ასევე შეხვდა და გაესაუბრა დაჭრილი პოლიციელების ოჯახის წევრებს. დაჭრილ პოლიციელებს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ბორჯომის რაიონულ საავადმყოფოში ჩაუტარდათ, შემდეგ კი თბილისში გადაიყვანეს. ამჟამად ისინი აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში (ყოფილ რესპუბლიკურ საავადმყოფოში) გადიან მკურნალობას.

შალვა აბულაძის დასაკავებლად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ინტენსიურად მიმდინარეობს.

*„პირველი“*

## სახალხო დამცველის აპარატის წერილის საფუძველზე პროკურატურაში გამოძიება დაიწყო

გამოძიება დაწყებულია სსკ-ს 18,109-ე მესამე ნაწილის „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით და 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. მთავარი პროკურატურის ოფიციალური განცხადებით: **„2015 წლის 27 იანვარს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან საქართველოს მთავარ პროკურატურაში შემოსული წერილის საფუძველზე, ქალაქ თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, განზრახ დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მომზადებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე.**

**კერძოდ: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმდროინდელმა მაღალჩინოსნებმა — ირაკლი ფირცხალავამ, კახა ლეგაშვილმა, გიორგი ხიზანიშვილმა და გიორგი ჭანტურიამ, 2008 წლის ივლისში, გადაამეტეს რა სამსახურებრივ უფლებამოსილებას, დააკავეს მოქალაქე ლაშა შავიძე და მასზე ფსიქიკური ზეწოლის და ნარკოტიკული ნივთიერების გადაცემის გზით, თავისუფლების სანაცვლოდ დაიყოლიეს ბუტა რობაქიძის დედის — ია მეტრეველის განზრახ მკვლელობაზე“.**

*„პირველი“*

# გოჩა ჯოჯუა „ოცნებასთან“ შეკრულ ოპოზიციას ასახელებს

## რატომ გადაიფიქრა პოლიტიკიდან წასვლა და წაართმევს თუ არა მითვისებულ პარტიას ნინო ბურჯანაძეს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**ნინო ბურჯანაძემ და ქრისტიან-დემოკრატებმა ერთმანეთი არჩევნების მერეც „შეიფერეს“ და როგორც ჩანს, ახალი საარჩევნო ციკლისთვისაც ერთად ემზადებიან. თუმცა ქრისტიან-დემოკრატების მეორე ნაწილი, სათავეში გოჩა ჯოჯუათი, დანებებას არ აპირებს — ცხვირწინ „ახეულ“ პარტიაზე დავა იუსტიციის სამინისტროდან ახლა სასამართლოში გრძელდება. მოუგებს თუ არა პროცესს „ხელისუფლებასთან დაახლოებულ“ ნინო ბურჯანაძეს, რატომ გადაიფიქრა პოლიტიკიდან წასვლა და რას აპირებს ქრისტიან-დემოკრატების ე.წ. მეორე ნაწილის ლიდერი — „ვერსიის“ კითხვებს გოჩა ჯოჯუა პასუხობს.**

— იუსტიციის სამინისტრომ სრული მიკერძოებულობა გამოიჩინა და 1 თვის განმავლობაში პასუხი არ მეღირსა, დამირეგისტრირებდნენ თუ არა პარტიას. ნინო ბურჯანაძის პოლიტიკურ ავანტიურას ფარდა კი არ ახადეს და პარტია კი არ დაგვიბრუნეს, პირიქით, ხელს გვიშლიდნენ და პირდაპირ უარს გვეუბნებოდნენ. პასუხი 10-დღიან ვადაში არ მიმიღია, 1-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ კი საღამოს 5 საათზე, იუსტიციის სამინისტროდან ისევ უპასუხოდ გამომიშვეს და უცებ, ერთ საათში, უარი მივიღე. რაღაც ტექნიკური ხარვეზები მართლაც იყო: დელეგატების რიცხვი გავასწორე, წესდებაში ქრისტიან-დემოკრატების ყრილობა ეწერა და გაერთიანებული დემოკრატების ყრილობად გადავაკეთე და ა.შ. თუმცა შედეგი არაფერმა გამოიღო, ამიტომ ეს ყველაფერი შევკრიბე და სასამართლოში შევიტანე, რომელიც 27 იანვარს გაიმართა და მთავარი პროცესი ისევ გადაიდო. უკვე არსებობს ანალოგები, როგორ გაასწორეს ხარვეზები სხვა პარტიებმა და დარეგისტრირდნენ, მაგალითად, „განახლებული საქართველო“ და „ერთიანი საქართველო“, ჩემს შემთხვევაში კი ასე არ მოხდა. სასამართლოში მეუბნებიან, ძალიან ბევრი საქმეა და ამიტომ გაიწელა პროცესიო. ნინო ბურჯანაძესთანაც გაგზავნილი მაქვს უწყისი, მაგრამ ახლა მასაც ბევრი საქმე გამოუჩნდა — აღმასრულებელი მდივანი გია კობახიძე პარტიიდან წავიდა, რადგან მისი შვილი, ირაკლი „ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ხდება.

**— ეს უკვე ყველასთვის ცნობილია და ამის მერე თქვენთვის ისევ გაუგებარია, რატომ გექმნებათ ბარიერები პარტიის დარეგისტრირებისას?**

— რა თქმა უნდა, არაფერი მიკვირს და ამიტომაც მივმართე სასამართლოს. სამწუხაროდ, სასამართლო სიმართლის დადგენის კი არა, ფორმალური მხარეების დაზუსტების ორგანოდ იქცა. ახლა მინდა, სასამართლოში ვამხილო ეს ქალბატონი და ვთქვა, რომ „ოცნება“ და ბურჯანაძის პარტია, რეალურად, ერთი კოალიციაა. თუ ადრე ქრისტიან-დემოკრატები იყვნენ სატელიტები, დღეს ბურჯანაძეც იგივეს აკეთებს.

**— თუ ბურჯანაძე „ოცნების“ სატელიტია, ქრისტიან-დემოკრატების პარტია „სატელიტის სატელიტი“ გამოდის?**

— საქმეც ისაა, რომ იმ ე.წ. ქრისტიან-დემოკრატებში, ფაქტობრივად, აღარავინ დარჩა, მაქსიმუმ, 20 კაცი, თავისი გიორგი ახვლედიანით. ლევან ვეფხვაძე, გიორგი თარგამაძე, ნიკა ლალიაშვილი და მაგდა ანიკაშვილი პოლიტიკიდან წავიდნენ. პარტიული სტრუქტურიდან მთავარი საბჭოს ერთადერთი წევრი მე ვარ და ამიტომაც მომადგა „გადაგდებული“ ხალხი — რას იზამ, იბრძოლებ თუ არაო. უარი რომ მეთქვა, მეც გარიგებული გამოვდიოდი. ასე არაა და ამის დამტკიცება მსურს.

**— ბურჯანაძის პარტია ლამის „ოცნების“ „კადრების სამჭედლოდ“ იქცეს. თუმცა ამის გამო აგრესიას არავინ გამოხატავს, არადა, როცა თქვენ ან „ახლები“ ნაციონალებთან საარჩევნო კოდექსზე საუბრობდით, მილიონად გაყიდულები გეძახეს. რა შეიცვალა?**

— ჯერ ერთი, ჩვენთან, რატომღაც, ნებისმიერი შეთანხმება და კომპრომისი ხელისუფლებასთან ძალიან ცუდ ქმედებად ფასდება, თუმცა, ჯერჯერობით, „ოცნების“ მიმართ ისეთი ზიზღი არ არის, როგორც ნაციონალების მიმართ იყო. ალბათ, ამიტომაც ხუჭავს საზოგადოება თვალს „ოცნებასთან“ მყოფ ე.წ. ოპოზიციაზე. არადა, რაც ბურჯანაძესა და „ოცნებას“ შორის ხდება, უკვე თანამშრომლობაც აღარ არის. ყოლბაია-სოფრომაძეს პოლიტიკური პოსტები უკავიათ, ხოლო როცა ერთი პარტია მეორესთან მიდის და სახელისუფლო თანამდებობას იკავებს, ეს კოალიციური ურთიერთობაა და ამის შესახებ ღიად უნდა ითქვას. ურთიერთობის ეს სტილი ბიძინა ივანიშვილმა დაამკვიდრა, რადგან ქვეყანას დღემდე კულისებიდან მართავს. ამით ბურჯანაძემაც ისარგებლა და დღეს იგი არაფორმალურად ხელისუფლებაშია.

**— კი, მაგრამ დეკლარირებულად პროდასავლურ ხელისუფლებას პრორუსი ბურჯანაძე რაში სჭირდება?**

— ნებისმიერ ხელისუფალს აუცილებლად სჭირდება ოპოზიცია, თანაც, სასურველია, მართვადი. ივანიშვილს ბურჯანაძე ერთ რამეში სჭირდება — პრორუსულ ფლანგზე, რომელიც ახლაც არსებობს და მომავალშიც იარსებებს, ურჩევნია, მართვადი ბურჯანაძე ჰყავდეს, ვიდრე უმართავი კუკავა. ერთ-ერთ ეთერში, არჩევნების შემდეგ წამოსცდა კიდეც ელისო ჩაფიძეს, ბურჯანაძის მაჟორიტარების გასვლაში ვეხმარებოდით, მაგრამ მეტი ხმა მაინც ვერ აიღესო. ზუსტად ასე დაეხმარნენ პატრიოტთა ალიანსსაც, რომელიც, ფაქტობრივად, გამოჩეკეს და ადგილობრივ არჩევნებში გაიყვანეს.

**— თავის დროზე, თქვენც ასე „გამოგჩეკეს“ და გაგიყვანეს ნაციონალებმა.**

— იცვლება მხოლოდ გვარები და წოდებები. სამწუხაროდ, შინაარსი იგივეა. სააკაშვილმა ძალიან ცუდი პროცესი დაიწყო, რომელიც ივანიშვილმა დაამთავრა — მათ მოსპეს პოლიტიკოსები. დღეს თუ ვინმეს რეიტინგი აქვს, მისი პოლიტიკური პოსტის გამოა და არა პიროვნული — ასეა უსუფაშვილიც, ალასანიაცა და სხვებიც. ყველა ფიქრობს, რომ პოლიტიკოსები გათახსირებულები, გამყიდველები და მატყუარები არიან, ივანიშვილიც ადგა და პარლამენტში სპორტსმენები, მომღერლები და მსახიობები შეაგროვა. ისინი ხალხმა პოლიტიკაში იმიტომ მოიყვანა, რომ ცუდი პოლიტიკოსები გვყავს. შედეგად, პროცესი ჩიხში უარესად შევიდა, რადგან ცუდი პოლიტიკოსიც კი პოლიტიკაში იმაზე კარგად ერკვევა, ვიდრე — კარგი მომღერალი.

**— და თქვენ კარგი ოპოზიცია ხართ? ბოლოს რომელ აქტუალურ მოვლენას გამოეხმაურეთ ქვეყანაში, ვაზაგაშვილის აფეთქებას, შს მინისტრის შეცვლას?**

— ალექსანდრე ჭიკაიძის მოხსნა თავიდანვე დაიგეგმა. იგი იმიტომ დანიშნეს, როცა „ოცნებას“ გაუჭირდებოდა, შს სამინისტროდან ვიღაც მოეხსნა. მან „ოცნების“ მეხამრიდის ფუნქცია შეასრულა.

**— გასაგებია, მაგრამ მისი მოხსნით კითხვებიც მოიხსნა?**

— ეს სხვა თემაა და იმაზეა დამოკიდებული, მიიღებს თუ არა საზოგადოება ჭიკაიძის გაშვებას საკმარის პასუხად.

**— ამ პროცესში თქვენ სად ხართ — იური ვაზაგაშვილი შვილის საფლავს დააკლეს, რომლის გადიდებული სურათებით მთელი ოპოზიცია და თქვენც რუსთაველზე 3 თვე კარვებში ცხოვრობდით. რაღაც არ გამიგია, რამე გაგეპროტესტებინათ?!**

— სავსებით გეთანხმებით. ბევრი საკითხია, რაზეც ოპოზიცია დღეს უნდა აქტიურობდეს და არ აქტიურობს. ოპოზიცია მიჩუმათებულია, მაგრამ 20-30 კაცი რომ გამოვიდეს და რაღაც გააპროტესტოს, ამით რა შეიცვლება? იმ საშუალებებით, რაც გვაქვს, აქტიურობას ვცდილობთ, მაგრამ მინიმალურ შედეგსაც ვერ ვდებთ.

**— წადით მაშინ პოლიტიკიდან, პარტიის აღდგენა რაღად გინდათ?**

— ასე გაგრძელებას არ ვაპირებთ. უბრალოდ, ახლა რა იარაღიც გვაქვს, იმით ვიბრძვით. აქციის გაკეთებაც გვინდა, მაგრამ უსახსრობის გამო ხალხი რეგიონებიდან ვერ ჩამოგვყავს. გინდა თუ არა, ნებისმიერ პოლიტიკურ ქმედებას თანხა სჭირდება. ესაა რეალობა!

**— ჰოდა, ვადამდელი არჩევნები გვინდაო, ოპოზიცია რომ გაიძახის, საარჩევნო სისტემა და კოდექსი უცვლელია, ფინანსებიც არავის აქვს, რის იმედად ითხოვთ ამ არჩევნებს?**

— ჩვენ არც ვითხოვთ, ეს ყველაფერი დიდი სისულელეა. ახლა მთავარია, საარჩევნო სისტემა მაინც შევცვალოთ, რადგან ისევ „ოცნებას“ და ნაციონალებს აქვთ არჩევნების ჩატარების მატერიალური შესაძლებლობა. ამის საშუალება დღეს ხომ არც ნინო ბურჯანაძეს აქვს და ისიც იძულებულია, ამ მარათონში ვიღაცასთან ერთად მიიღოს მონაწილეობა. სინამდვილეში, ნინო ბურჯანაძეც მსხვერპლია! ამიტომ არ მინდა, პოლიტიკაში ასეთი ადამიანები იყვნენ, თუმცა ამას ვადამდელი არჩევნებით ნამდვილად ვერ მივაღწევთ. ამ თამაშით ძალიან დავიღალე — პოლიტიკიდან წასვლას ვაპირებდი, მაგრამ რადგან ვითარება ასე შემოტრიალდა, დავრჩი, რათა ჩემი და თანაპარტიელების სახელით ვიბრძოლო! სინამდვილეში, ვადამდელი არჩევნებიც რევოლუციური სცენარია, რომლის დროსაც ხელისუფლებაში ისევ ავანტიურისტები მოდიან. აჯობებს, 2016 წლამდე მივიდეთ და ამასობაში, ყველამ თავისი რეალური სახე აჩვენოს.

**— თუმცა ოპოზიცია არც ამაშია შეთანხმებული: ნაწილი ვადამდელ არჩევნებს ითხოვს, ნაწილი კატეგორიულ უარზეა.**

— მოდი, იმასაც შევხედოთ, ვინ ითხოვს ვადამდელ არჩევნებს: ისევ და ისევ ნინო ბურჯანაძე, ირმა ინაშვილი და ჯონდი ბაღათურია. ხოლო ეს სამივე, სინამდვილეში, ერთი ძალაა და ყველას რაღაც კავშირები და გარანტიები აქვს ხელისუფლებისგან.

# ექსკლუზიური ინტერვიუ დიასპორის მინისტრთან

*მე-3 გვერდიდან*

დიასპორების სამინისტროს ოფიციალური ინფორმაცია არ გააჩნია, რამდენი ქართველი იბრძვის უკრაინაში, მაგრამ როგორც ცნობილია, ეს მაქსიმუმ, 300 ადამიანია. ჩვენი სამინისტროს ფუნქციებში ეს არ შედის და სამწუხაროდ, ვერც მატერიალური ბაზა და შესაძლებლობები სწვდება ისეთი პრობლემების მოგვარებას, როგორიც მეომრების დახმარება, ან უსახსრო თანამემამულეების ფინანსური უზრუნველყოფაა. ეს უფრო თავდაცვისა და ჯანდაცვის სამინისტროების პრეროგატივაა.

**— საარჩევნო თემატიკაზეც გკითხავთ — ემიგრანტები, დევნილებისა არ იყოს, აქტუალურნი მხოლოდ წინასაარჩევნოდ ხდებიან. იმისდა მიხედვით, რა განწყობა ჰქონდათ ემიგრანტებს, მოქმედი ხელისუფლება ხმის უფლებას ხან აძლევდა, ხანაც ართმევდა. ამ კუთხით რა შეიცვალა?**

— ეს ძალიან დიდი შეცდომაა და, თუ ხალხთან გულწრფელი ურთიერთობა გვაქვს, მაშინ მათი 4 წელიწადში ერთხელ გახსენება, შეურაცხმყოფელია! საკუთარი გამოცდილებიდან გეტყვით, რომ უცხოეთში არალეგალურად მყოფი ხალხი, არათუ არჩევნებში მონაწილეობას, გარეთ გასვლასაც ერიდება. ფიქრობენ, საელჩოში მისვლითა და იქ დაფიქსირებით პრობლემები შეექმნებათ. ასე არ არის. პირიქით, საელჩოები სწორედ მათ დასახმარებლად არიან მოწოდებულნი. ხოლო ის, ვინც აღრიცხვაზეა, ჩვეულებრივად მიდის საელჩოში, სადაც საარჩევნო პუნქტია გახსნილი და ხმას დაუბრკოლებლად აძლევს.

**— ისე, ოპოზიცია ყველა არჩევნების მერე ამბობდა, რომ უცხოეთიდან უამრავი უკონტროლო ხმა ჩამოდის, რაც აპრიორი ხელისუფლების სასარგებლოდაა გაყალბებული. სიმართლეს არც ეს შეესაბამება?**

— რა თქმა უნდა, არა. სწორედ რუსეთში მომიწია საპარლამენტო არჩევნებზე ყოფნა 2008 წელს და რა უამრავ უკონტროლო ხმაზეა საუბარი, როცა, რეალურად, საელჩოში 2 პუნქტი გაიხსნა და 1 500-მდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. თბილისიდან სხვადასხვა პარტიის საარჩევნო დამკვირვებლებიც ჩამოვიდნენ და უბანზე, ფაქტობრივად, დარღვევები არც ყოფილა. 2003 წელს კი აზერბაიჯანში, არჩევნებში მონაწილეობა 130-მა ადამიანმა მიიღო. ამ სტატისტიკის ნახვა ძალიან ადვილია, ამიტომ, პირდაპირ გეტყვით, უცხოეთიდან შემოსული ხმები არჩევნების შედეგებზე გადამწყვეტ გავლენას ვერ ახდენს.

**— ალბათ, არაერთი ადამიანისგან დღესაც გესმით, რომ ქვეყნიდან წასვლა სურს. რა კეთდება, ქართველებს ეს სურვილი რომ გაუქრეს?**

— კითხვა ასე დავსვათ — რატომ არ უნდა წავიდნენ? ამაში კატასტროფას რატომ ვხედავთ? ადამიანს და მათ შორის პროფესიონალს, რომელსაც საკუთარი ენერგიისა და გამოცდილების იმედი აქვს, მაგრამ აქ საკუთარი ამბიციები მოცემულ ეტაპზე ვერ დაიკმაყოფილა, არ წახვიდეო, ვერ ეტყვი — უნდა წავიდეს, ნახოს და სასურველია, დაბრუნდეს.

**— ოღონდ, ეს ფორმულა ასე არ მუშაობს: მიდიან, ნახულობენ და რჩებიან.**

— ტრაგედიას ამაშიც ნუ დავინახავთ და ნურც იმაში, რაღაც დროის განმავლობაში კაცმა ცოლ-შვილიც რომ წაიყვანოს. მთავარია, ერთობლივი ძალისხმევით, ისეთი ქვეყანა შევქმნათ, აქედან წასვლა არავის მოუნდეს!

**— რა არაორდინალური მინისტრი ხართ?!**

— შესაძლოა... აბა, მოქალაქეებო, არ წახვიდეთ-მეთქი, რომ ვთქვათ, ზუსტად იგივე შედეგს მივიღებთ, როგორც მოწოდებისას, მოქალაქეებო, ჩამოდითო. საკითხს რეალურად შევხედოთ: კონკრეტულად რით გხვდები, ან რით გიჭერ, რომ არ წახვიდე? ხალხის მოტყუებას არ ვაპირებთ! სამწუხაროდ, დღეს არც დიასპორების მნიშვნელობა გვაქვს კარგად გათავისებული. ბევრმა არ იცის, რომ მწირი ბიუჯეტის მიუხედავად, საერთაშორისო დიასპორული ალიანსის წევრი გავხდით, ეს ორგანიზაცია კი ჰილარი კლინტონმა დააფუძნა. ჩვენს მისი ერთადერთი წევრი ვართ პოსტსაბჭოთა სივრცეში და მას მერე, რაც უახლოეს კვირებში ხელს სტრატეგიული თანამშრომლობის დოკუმენტს მოვაწერთ, მისი პარტნიორი აღმოსავლეთ ევროპის სივრცეში გავხდებით. სასიხარულოა, რომ ჩვენი სწრაფვა და მეთოდები ევროპისთვის, დასავლეთისთვის გასაგებია. ჩვენს მიერ გაკეთებულ საქმეებსა და დადებით შედეგს თუ არსებულ ბიუჯეტს შევადარებთ, არა მგონია, სახელმწიფოს დიდ ტვირთად ვაწვებოდეთ.

**— ემიგრანტებს ყველა დროის ყველა პოლიტიკოსი რომ უკიჟინებს, დაბრუნდიო, საინტერესოა, რა მოხდება, ერთ დღეს თუნდაც წასულების ნახევარი რომ დაბრუნდეს — სად მიგვყავს და რას ვუშვრებით ამ ხალხს?**

— ეს კითხვა მთელ მინისტრთა კაბინეტს უნდა დაგვისვათ. თუმცა მსოფლიო პრაქტიკაში ასე, ერთბაშად დაბრუნების პრეცედენტი არ არსებობს. დღეს ქვეყანა მზად არაა, დაბრუნებულთა დიდი მასები ღირსეულად მიიღოს. თუმცა პატრიარქი ამბობს და მეც ვეთანხმები, რომ თუ ადამიანს რაღაც, თუნდაც მცირედი საქმიანობის წამოწყება სურს, ამას აუცილებლად შეძლებს. პირველ რიგში კი ხალხსა და ხელისუფლებას შორის პატიოსანი დიალოგია საჭირო. როცა ხალხიცა და მთავრობაც მივაღწევთ, რომ აქ ცხოვრების დონე აიწევს, ჩვენი დაძახება არავის დასჭირდება, ისედაც ჩამოვლენ.

**— და ბოლოს, თქვენი აზრით, ქართველი ემიგრანტებისთვის დღეს ყველაზე პოპულარული ადამიანი ვინ არის საქართველოში?**

— საქართველოს პატრიარქი ილია II. ამაზე გამოქვეყნებული რეიტინგებიც მეტყველებს. საპატრიარქოსთან ინტენსიურად ვთანამშრომლობთ და ქართველობის ბუნებრივი თავშეყრის ადგილიც დღეს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში სწორედ ჩვენი, ქართული ეკლესიაა.

# რის საფუძველზე აიძულებს ხელისუფლება კომპანიებს მსუბუქი ავტომობილების ერთ ტერმინალში განბაჟებას

## ირაკლი იაშვილი საპროტესტო აქციებით იმუქრება

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**2015 წლის 1 აპრილამდე ძალაშია ხელშეკრულება, რომლითაც ფოთის ნავსადგურის მფლობელი დანიური კომპანია „აი პი ემ ტერმინალსი“, მსუბუქი ავტომობილების განბაჟების ნაწილში, მონოპოლისტად რჩება. ხელშეკრულების თანახმად, ყველა კომპანია, რომელსაც საქართველოში მსუბუქი ავტომობილები შემოჰყავს, ვალდებულია, ტვირთი მხოლოდ „აი პი ემ ტერმინალსის“ კუთვნილ ტერმინალში განაბაჟოს. 2014 წელს, ფოთის ნავსადგურის დანიელმა მფლობელებმა გადაწყვიტეს, ხელშეკრულების ეს პირობა ყველა სახის ტვირთზე გავრცელებულიყო, რასაც საქართველოში მოქმედი, 40 ლოგისტიკური კომპანიის პროტესტი მოჰყვა. ლოგისტიკური კომპანია „ისთგეით გრუპის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი იაშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შარშან, დანიური კომპანიის მონოპოლისტობა არ დაუშვა და კონკურენტულ გარემოში, ტვირთების განსაბაჟებლად, ტერმინალების არჩევანის უფლება ლოგისტიკურ კომპანიებს მიანდო.**

ირაკლი იაშვილის განცხადებით, 2014 წელს მიღწეული შეთანხმების შედეგად, ლოგისტიკური კომპანიები მსუბუქი ავტომობილების გარდა, ყველა სხვა სახის ტვირთებს იმ ტერმინალებში ანბაჟებენ, სადაც სურთ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეს გადაწყვეტილება ეკონომიკის მთავარ პრინციპს ეფუძნება, რომლითაც ფოთის ნავსადგურის მფლობელი კომპანიის მონოპოლისტური მდგომარეობა შეიზღუდა, თუმცა ირაკლი იაშვილმა „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ „აი პი ემ ტერმინალსი“ მსუბუქი ავტომობილების განბაჟების ნაწილში, ისევ მონოპოლისტია: **„სახელმწიფოსა და „აი პი ემ ტერმინალსს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ვადა 2015 წლის 1 აპრილს იწურება. არ ვიცი, გააგრძელებს თუ არა მთავრობა ამ ხელშეკრულებას. შარშან უკმაყოფილება გამოვთქვით, ფოთში საპროტესტო აქციებიც გაიმართა და ეკონომიკის სამინისტროს ხელშეწყობით, მოვახერხეთ, ფოთის ნავსადგურის მფლობელი კომპანიის მონოპოლისტობა არ დაგვეშვა. სამწუხაროდ, მსუბუქი ავტომობილების განბაჟების მხრივ, არაფერი შეცვლილა. ამ ვითარებას ჩემი კომპანიები 5 წელია აპროტესტებენ, რის გამოც, წინა ხელისუფლების პირობებში, სერიოზული პრობლემებიც შეგვექმნა“.**

ერთი წლის წინ, „ვერსიაში“ გავშიფრეთ თაღლითური სქემა, რომლითაც ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობის ყოფნის დროს, ფოთის ნავსადგურის მმართველი კომპანია „აი პი ემ ტერმინალსი“ მონოპოლისტად იქცა, რაც ქართული ოცნების პირობებშიც გრძელდება. ირაკლი იაშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ 2010 წელს, როდესაც ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსად გოგა ცხაკაია დაინიშნა, ფოთის ნავსადგური მართვაში არაბულ „რაკია ჯგუფს“ გადასცეს. შემოსავლების სამსახურსა და „რაკიას“ ხელმძღვანელობას შორის შეთანხმების საფუძველზე, არაბულ კომპანიას გეზი-ს (გაფორმების ეკონომიკური ზონა, — ავტ.) შენობა უნდა აეშენებინა, ხოლო ხელისუფლება „რაკიას“ ტვირთების განბაჟების ექსკლუზივს დაპირდა.

ირაკლი იაშვილის განცხადებით, მას შემდეგ, რაც თბილისსა და ფოთში გაფორმების ეკონომიკური ზონები შეიქმნა, გოგა ცხაკაიამ მსუბუქი ავტომობილების განბაჟების კორუფციული სქემა შეიმუშავა. ფოთის პორტის მფლობელ „რაკიას“, გეზ-ის შენობის გვერდით, ცხაკაიამ საკონტეინერო ტერმინალიც ააშენებინა, სადაც ნებისმიერ გადამზიდავ კომპანიას თავისი ტვირთი უნდა განებაჟებინა. არადა, „ისთგეით გრუპის“ გარდა, ირაკლი იაშვილი, მსოფლიოში სიდიდით მესამე საზღვაო კომპანია „სი ემ ეი“-ს წარმომადგენელიცაა, რომელსაც საქართველოში მსუბუქი ავტომობილები შემოჰყავს. გემი და მასზე არსებული კონტეინერები, „სი ემ ეის“ საკუთრებაა, კომპანია ფოთის ნავსადგურში ტერმინალსაც ფლობს, სადაც ეს ტვირთი უნდა განბაჟდეს.

„სი ემ ეი“, რომელსაც საქართველოში ირაკლი იაშვილი წარმოადგენს, აბსოლუტურად უზრუნველყოფილი და კონკურენტებისგან გამიჯნული კომპანიაა, მაგრამ „რაკიასთან“ მოლაპარაკების შემდეგ, გოგა ცხაკაიამ ფოთში სხვა საკონტეინერო ტერმინალი ააშენა და ფინანსთა მინისტრის ზეპირი ბრძანების საფუძველზე, ყოველგვარი ნორმატიული აქტის გარეშე, საქართველოში შემოსული მსუბუქი ავტომობილების განბაჟება მხოლოდ არაბული კომპანიის საკუთრებაში არსებულ ტერმინალში დაიწყო. თანაც, ეს უფლება „რაკიას“ ხუთი წლით, 2015 წლამდე გადასცეს. ამასობაში, ფოთის ნავსადგურის მფლობელი შეიცვალა და არაბული „რაკია“ უკვე დანიურმა „აი პი ემ ტერმინალსმა“ ჩაანაცვლა, რომელიც გიგანტური ამერიკული კომპანია „მაერსკის“ ჰოლდინგში შედის. არადა, „მაერსკი“ და „სი ემ აი“, ზღვაშიც და ხმელეთზეც კონკურენტები არიან.

ირაკლი იაშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში ქართული ოცნება მოვიდა, ლოგისტიკური კომპანიების წარმომადგენლები ფიქრობდნენ, რომ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების პირობებში არსებულ უსამართლობას ბოლო მოეღებოდა. რეალურად, ისინი ფინანსთა მინისტრის ზეპირად გაცემული ბრძანების გაუქმებას ითხოვენ, თორემ ამ გადაწყვეტილებაზე ნორმატიული აქტი რომ არსებობდეს, ლოგისტიკური კომპანიების წარმომადგენლები სასამართლოში გაასაჩივრებდნენ კიდეც: **„მეგონა, ახალი ხელისუფლების პირობებში ეს აღარ გაგრძელდებოდა. არაბული კომპანია „რაკია“ დანიურმა „აპი პი ემ ტერმინალსმა“ შეცვალა და არ ვფიქრობდი, რომ ამერიკული კომპანიის ჰოლდინგში შემავალი დანიური კომპანიაც მონოპოლიურ მდგომარეობას შეინარჩუნებდა. მეტიც, ფინანსთა სამინისტრომ არაფერი გააკეთა და ეს ხელშეკრულება ბოლომდე, ანუ ვადის ამოწურვამდე მიიყვანა. არადა, განსაკუთრებულს არაფერს ვითხოვთ — თანაბარ, კონკურენტულ პირობებში გვინდა მუშაობა. ახლა სახელმწიფო შემოიჭრა ჩემს ფუნქციებში, სერიოზული სეგმენტი, ანუ სატერმინალო მომსახურება წამართვა და მითხრა, არ გაძლევ უფლებას, შენი ტვირთით დატვირთული შენი გემები, შენსავე ტერმინალში მიიღო, რადგან ვალდებული ხარ, „აი პი ემ ტერმინალსის“ კუთვნილ ტერმინალში განაბაჟოო. 5 წელია, ამ ვითარებას ვუძლებთ. 1 აპრილამდეც მოვითმენთ და 2 აპრილს, მსუბუქი ავტომობილებით დატვირთულ ჩვენს კუთვნილ გემებს, ჩვენსავე ტერმინალში შევიყვანთ! თუ ნოდარ ხადურის უწყება ამ ხელშეკრულების ვადას გააგრძელებს, რა თქმა უნდა, პროტესტის ახალ ტალღას დავიწყებთ“.**

ირაკლი იაშვილმა „ვერსიას“ ისიც განუცხადა, რომ ფოთის ტერმინალში მომსახურება გაძვირდა, რაც საბოლოოდ, პროდუქტის, ამ შემთხვევაში, მსუბუქი ავტომობილების ფასზეც აისახება. გარდა ამისა, „აი პი ემ ტერმინალსის“ კუთვნილ ტერმინალში საკმაოდ გრძელი რიგებია, ტერმინალი მსუბუქი ავტომობილებითაა გადაჭედილი და თავისუფალი ადგილიც კი აღარ არის. იმ პირობებში, როდესაც ფოთის ნავსადგურში, 10 კომპანიის ნაცვლად, მხოლოდ ერთი დარჩა, რა თქმა უნდა, კონკურენცია შეიზღუდა. შესაბამისად, ეს ერთი კომპანია იმ ტარიფს აწესებს, რაც მას სურს. ირაკლი იაშვილის განცხადებით, „აი პი ემ ტერმინალსმა“ საბაჟო მომსახურების ტარიფები საგრძნობლად გააძვირა, თითქმის გაასამმაგა. განბაჟების ტარიფების მიხედვით, ფოთის ნავსადგური ყველაზე ძვირია შავ ზღვაში, რის გამოც იმპორტირებული პროდუქციის ფასი ქვეყნის ტერიტორიაზე საკმაოდ ძვირია.

# რატომ ვერ მიიღეს იანვრის ხელფასები დროულად ადგილობრივ თვითმმართველობებში?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ 1 იანვრიდან, თვითმმართველობების ბიუჯეტები უმოქმედოა. რამდენიმე მუნიციპალიტეტში შეჩერდა გადარიცხვები და თითქმის სამი კვირის განმავლობაში, ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებული პირები ხელფასს ელოდნენ. 2015 წლის 1 იანვრიდან, საგანმანათლებლო დაწესებულებების გარდა, ყველა დონის ბიუჯეტი სახაზინო მომსახურებაზე გადავიდა. ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის განცხადებით, სახაზინო მომსახურებაზე გადასვლა, სამინისტროს საშუალებას მისცემს, ჰქონდეს წვდომა ინფორმაციაზე, რა ხდება საჯარო ფინანსების მართვის კუთხით.**

რა მოხდა სინამდვილეში და რატომ ვერ შეძლეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საფინანსო სამსახურების წარმომადგენლებმა საბიუჯეტო ოპერაციების შესრულება? საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის განცხადებით, სახაზინო მომსახურებაზე გადასვლა აუცილებელი იყო, რათა საჯარო ფინანსების მართვისას, სამინისტროს ონლაინწვდომა ჰქონოდა. ნოდარ ხადურმა ისიც განმარტა, ეს არის მართვის ევროპული სისტემა, რომელიც კონტროლის კი არა, აღრიცხვიანობის მოწესრიგების მიზნით დაინერგაო. მინისტრის განცხადებით, თითოეული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩეული ორგანო, საკრებულო აკონტროლებს.

მართალია, ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით, ადგილობრივ თვითმმართველობებში მართვის ევროპული სისტემა დაინერგა, მაგრამ 2015 წლის 1 იანვრიდან ეს სისტემა „გაიჭედა“ და თანხების მოძრაობა შეჩერდა. „ეკონომიკური განვითარების ცენტრის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ეკონომიკის ექსპერტი **რომან გოცირიძე**, სოციალურ ქსელში ამ ფაქტს ასე გამოეხმაურა: **„თავის დროზე, როცა ყველა აკრიტიკებდა, მხარი დავუჭირე მთავრობის მიერ წარდგენილ კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებდა ბიუჯეტის ყველა თანხის ხაზინის ანგარიშებზე აკუმულირებასა და იქიდან ხარჯვას. ეს ეხებოდა მუნიციპალიტეტებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშების გადატანას კომერციული ბანკებიდან ხაზინაში. ოღონდ გამოვთქვი ეჭვი, შეძლებს კი ამის გამართულად ორგანიზებას ფინანსთა სამინისტრო? აჩქარება საჭირო არ არის და უკეთესია, თუ ეტაპობრივად განხორციელდება ამ სისტემაზე გადასვლა. ასე არ გამოვიდა, რადგან თვითმმართველობები პარალიზებულია და თანხების მოძრაობა შეჩერდა, ხელფასების დროულად დარიგებაც კი ეჭვქვეშაა. არადა, სადაც რეალურადაა გასაკეთებელი საქმე, იქ წაიმტვრევენ ხოლმე ფეხს. რატომ გაიჭედა სისტემა? რატომ არ მიდის ფული რეგიონებში? არ არის გამართული პროგრამა? არ ჩატარდა ტესტირება, თუ ცუდად ჩატარდა? ოპერაციების მოცულობას ვერ გაუძლო? არ ვიცი“.**

გავრცელებული ინფორმაციით, 23 იანვრის მდგომარეობით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, გორში, ზესტაფონსა და ხაშურში ხელფასები ჯერ კიდევ არ იყო გაცემული. ფინანსთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში „ვერსიას“ განუცხადეს, რომ ამ პრობლემის მოგვარება 26 იანვრიდან უკვე დაიწყო: **„საჯარო ფინანსების მართვის ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაზრდის, ყველა დონის ბიუჯეტების ოპერაციების გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში უწყვეტად მიმდინარეობს საჯარო სამართლის იურიდიული პირების — სსიპ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების — ააიპ, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსური მენეჯერების გადამზადება ქვეყნის მასშტაბით. ეს პროცესი 2014 წლის ნოემბრიდან დაიწყო და ტრენინგებს თემაზე „სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა,“ საფინანსო მენეჯერებს სახელმწიფო ხაზინისა და საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის სპეციალისტები უტარებენ. ამჟამად თვითმმართველი ქალაქების დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ებისა და ააიპ-ების ტრენინგები მიმდინარეობს. ასევე, იმ ორგანიზაციების წარმომადგენელთა გადამზადებაც, რადგან თანამშრომელთა სწავლება მათ დამატებით ისურვეს. ხაზინის თანამშრომელთა ჩართულობით, ორგანიზაციების წარმომადგენლებს საშუალება აქვთ, თავად იმუშაონ ხაზინის პროგრამაში და პრაქტიკაში გამოიყენონ ტრენინგებზე მიღებული ცოდნა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში გამოიკვეთა ხარვეზები, რის გამოც ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში გადამზადებულმა სპეციალისტებმა, სახაზინო სისტემაში მუშაობისას, გარკვეული შეცდომები დაუშვეს. თუმცა ამ ხარვეზებისა და შეცდომების აღმოფხვრაზე, ორგანიზაციებთან ერთად, სახელმწიფო ხაზინა ოპერატიულად მუშაობს“.**

ფინანსთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში „ვერსიას“ ისიც აუხსნეს, რომ რეფორმის პროცესში, ისეთი მუნიციპალიტეტებიც გამოიკვეთნენ, რომლებმაც ფინანსთა სამინისტროს ორგანიზებით გამართულ ტრენინგებზე მიღებული ცოდნა წარმატებით გამოიყენეს და 2015 წლის პირველივე სამუშაო დღეებში, ფინანსური გადარიცხვები უპრობლემოდ განახორციელეს:

**„დღევანდელი მონაცემებით (სამშაბათი, 27 იანვარი), 50 მუნიციპალიტეტს სხვადასხვა ტიპის ოპერაციები უკვე განხორციელებული აქვს ამ პროგრამაში. ბოლო მონაცემებით, დანარჩენი მუნიციპალიტეტებიც მზად არიან ხარჯის გასაწევად და ამ კვირაში, თითოეული მათგანი, აუცილებლად განახორციელებს გადარიცხვებს. აღსანიშნავია, რომ სწორად შევსებული დოკუმენტაციის პირობებში, ყველა მუნიციპალიტეტს ჰქონდა შესაძლებლობა, რომ ხაზინის პროგრამაში, 2015 წლის იანვრის პირველივე დღეებიდან შეუფერხებლად ემუშავა“.**

# „სენტა პეტროლიუმი“ ბაზარზე ახალი ტარიფებით ბრუნდება

რუსუდან ხავთასი

**წინა ხელისუფლების დროს ჩინოვნიკები ბიზნესში საკმაოდ უხეშად რომ ერეოდნენ, ამას არავინ უარყოფს. კიდევ ერთი მსხვერპლი კომპანია „სენტა პეტროლიუმი“ აღმოჩნდა. შეიძლება ითქვას, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა კომპანია მიწასთან გაასწორეს, თუმცა დღეს „სენტა პეტროლიუმი“ ქართულ ბაზარზე მაინც ბრუნდება.**

კომპანია 1996 წელს დაფუძნდა და წარმატებით ვითარდებოდა, ალბათ ამიტომაც დაინტერესდა მისით „ბიზნესმენი“ დავით კეზერაშვილი. „სენტა პეტროლიუმის“ დამფუძნებლები დავით მიმინოშვილი და ზაალ იაკობიძე თავიანთი ქონების მიტაცებაში წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნებს — თავდაცვის ექსმინისტრ დავით კეზერაშვილს, იუსტიციის ყოფილ მინისტრ ზურაბ ადეიშვილს და შს ყოფილ მინისტრ ვანო მერაბიშვილს ადანაშაულებენ.

როგორც კომპანიის დამფუძნებლები აცხადებენ, დავით კეზერაშვილი „სენტა პეტროლიუმის“ 60-მილიონიანი ბიზნესით 2010 წელს დაინტერესდა და კომპანიის მეპატრონეები „პიქსელის“ შენობაში დაიბარა. დავით კეზერაშვილმა, ზურაბ ადეიშვილის, ვანო მერაბიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის სახელით, დავით მიმინოშვილსა და ზაალ იაკობიძეს ულტიმატუმი წაუყენა — 24 საათში 60-მილიონიანი „სენტა“ ან მესამედ ფასში უნდა დაეთმოთ, ან ციხეში წასულიყვნენ და კომპანია უფასოდ დაეკარგათ, 24-საათიანი ულტიმატუმის გასვლის შემდეგ კი, თუ პასუხი არ ექნებოდათ, იმ მესამედ ფასსაც ყოველ 24 საათში 5 მილიონი მოაკლდებოდა. კეზერაშვილის თქმით, გადაწყვეტილება საბოლოო იყო, რადგან ამ ბიზნესს მყიდველი უკვე ჰყავდა. ბიზნესმენები აიძულეს, ულტიმატუმს დათანხმებოდნენ, შედეგად კომპანიის დაქვემდებარებაში მყოფი 50-მდე ავტოსადგური „გალფს“ გადაეცა. პროცესი ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. თუმცა დავით მიმინოშვილმა და ზაალ იაკობიძემ უარი თქვეს, ხელი მოეწერათ ერთ პირობაზე — არასოდეს ებრძოლათ ბიზნესში დაბრუნებისთვის. 2010 წლის ნოემბერში 60-მილიონდოლარიანი ქონების 22 მილიონ დოლარად დათმობა მოუწიათ, აქედან დიდი წილი მიმდინარე ვალდებულების დასაფარად წავიდა და, საბოლოოდ, 6 მილიონი დარჩათ — მაგრამ, არც ეს თანხა შეარჩინეს.

**„მას შემდეგ, რაც კეზერაშვილმა ჩვენი კომპანია იძულების გზით მიზერულ ფასად ჩაიგდო ხელში, მე და ჩემს პარტნიორს, ზაალ იაკობიძეს უეცრად, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე, ფულის გათეთრებაში დაგვდეს ბრალი და გლდანის ცეხეში გაგვამწესეს,** — ამბობს დავით მიმინოშვილი, - **ღამით აგვიყვანეს ციხის დირექტორთან და გვითხრეს, რომ, თუკი გირაოს სახით 4 მილიონ ლარს არ გადავიხდიდით, 15-წლიანი პატიმრობა გვემუქრობოდა. 4 მილიონი გირაოს სახით უნდა გადაგვეხადა, ხოლო 2 მილიონად კი ახალციხეში ვანო მერაბიშვილის სოფლის მახლობლად, სოფელ ჭვინთაში არსებული ბიბლიოთეკა შეგვესყიდა. ფაქტობრივად, სრულიად გაგვანადგურეს.“**

დავით მიმინოშვილის განცხადებით, არჩევნების შემდეგ პირველი, რაც კომპანიამ გააკეთა, პროკურატურას მიმართა. როგორც ბიზნესმენები აღნიშნავენ, დღევანდელმა პროკურატურამ მტკიცებულების არარსებობის გამო „ადეიშვილის პროკურორის“ მიერ წარდგენილ ბრალდებებზე უარი თქვა, რითიც მეპატრონეების უდანაშაულობა დამტკიცდა. „სენტა პეტროლიუმმა“ სასამართლოს მიმართა, რის შედეგადაც „გალფის“ 50-მდე ავტოსადგურს ყადაღა დაედო მანამ, სანამ სასამართლო განაჩენს არ გამოიტანს.

**„მოსამართლემ გონივრული გადაწყვეტილება მიიღო. ასე რომ არ მომხდარიყო და ქონებისთვის ყადაღა არ დაედოთ, ჩვენი კომპანია შეიძლება, საერთოდ გაეყიდათ, ამ შემთხვევაში ვერაფერს ვიზამდით, „სენტა პეტროლიუმი“ აღარ იარსებებდა“,** — აღნიშნავს დავით მიმინოშვილი.

სასამართლო პროცესი 4 თებერვალსაა ჩანიშნული, თუმცა „სენტა“ უკვე დაბრუნდა ბაზარზე. კომპანიის წარმომადგენლებმა სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ პრეზენტაცია გამართეს, დაბრუნება დაადასტურეს და მომხმარებლებს სასიამოვნო სიახლეც აცნობეს — „სენტა პეტროლიუმი“ ქართულ ბაზარზე დაბალი ტარიფებით ბრუნდება. როგორც დავით მიმინოშვილმა განაცხადა, „სენტა პეტროლიუმის“ ავტოგასამართ სადგურებზე საწვავის ფასი, სხვა ბრენდირებულ გასამართ სადგურებთან შედარებით, 15-20 თეთრით ნაკლები იქნება.

**„მინდა, გამოვხატო კმაყოფილება. ბაზარზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოა, ხელისუფლება არ ერევა ბიზნესში. ყოველ შემთხვევაში, მე არ გამიგია. ჩვენ არასდროს ვმუშაობდით მაქსიმალური მარჟებით. როდესაც მარჟა მაღალია, გაყიდვა ნაკლებია. ყოველთვის გვქონდა მიდგომა, რომ ყოფილიყო შედარებით მოკრძალებული ფასები და მეტი რაოდენობის გაყიდვები, რაც, საბოლოო ჯამში, ბიზნესისთვის გაცილებით მომგებიანია. ერთ რამეში კი ნამდვილად დარწმუნებული ვარ — მომხმარებელი მოგებული და კმაყოფილი დარჩება“,** — განაცხადა დავით მიმინოშვილმა.

პრეზენტაციას თბილისის მერი დავით ნარმანია და უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე ესწრებოდნენ. დავით ნარმანიამ კომპანიას, დიდი ბრძოლის შემდეგ, ბიზნესში სამართლიანად დაბრუნება მიულოცა და გვერდში დგომა აღუთქვა: **„ამ პეზენტაციაზე კარგად ჩანს, როგორ შეიძლება დიდი შრომის წყალობით, კომპანიამ ნულიდან დაიწყოს ყველაფერი და მიაღწიოს წარმატებას. ყველას გვახსოვს ის ავადსახსენებელი წლები, როცა კომპანიებს წარმატებას არ პატიობდნენ, თუ მათიანი და მათი გუნდის წევრი არ იყავი. ყველამ ვიცით, რითი მთავრდებოდა ასეთ შემთხვევაში ყველაფერი და თქვენი კომპანიაც, როგორც ჩანს, ამ მხრივ გამონაკლისი არ აღმოჩნდა. მთავარია, შეძელით, სააშკარაოზე გამოგეტანათ ეს ყველაფერი და, მიუხედავად მძიმე პერიოდისა, სამართლიანობა აღდგა. ყოველთვის მიგულეთ თქვენ გვერდით“.**

უმრავლესობის ლიდერმაც იმ რთულ პერიოდზე გაამახვილა ყურადღება, როცა ბიზნესი ტერორის ქვეშ იყო და იმედი გამოთქვა, რომ ყველა მსგავსი საქმე სამართლიანი ფინალით დამთავრდება: **„კომპანია „სენტას“ ისტორია ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ რა ხდებოდა ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში. კომპანიას, რომელმაც მიაღწია სერიოზულ სიმძლავრეებს, როგორ წაართვეს აქციები, როგორ დაიჭირეს ადამიანები , როგორ აყიდინეს ასი კვადრატული მიწა ორ მილიონად. ეს ყველაფერი ჩვენი სამწუხარო რეალობა და ისტორიაა. საბედნიეროდ, შეიცვალა ხელისუფლება და ეს ადამიანები ისევ თავისუფლები არიან, აკეთებენ ბიზნესს და კომპანია „სენტა“ ბაზარზე დაბრუნდა. რაც მთავარია, გაიაფდა პროდუქცია. ერთს ვიტყოდი: ძალიან ბევრი ბიზნესი, რომელიც ამ წლების განმავლობაში დატერორებული იყო, ვისურვებდი, მათაც იგივე ფინალი ჰქონდეთ. ის ძირითადი მოთხოვნა, რასაც საზოგადოება ჩვენს ხელისუფლებას უყენებდა, შეიძლება ითქვას, შესრულებულია. აღდგა სამართლიანობა და, იმედი მაქვს, ბევრ სხვა შემთხვევაშიც ასე მოხდება“.**

ასე რომ, „სენტა“ უკვე ბაზარზეა. კომპანიის დამფუძნებლების ინფორმაციით, „სენტა პეტროლიუმის“ ერთი ავტოგასამართი სადგური — ქალაქ ბათუმში, ხოლო მეორე ქუთაისში ფუნქციონირებს. უახლოეს მომავალში დაგეგმილია გასამართი სადგურების თბილისში გახსნა.



# „მარტიდან ქუჩაში ათასობით ადამიანი გამოვა!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**„თუ ქართულად გიძგერს გული და შენშია ქართული სული, 31 იანვარს, 3 საათზე თბილისში, შოთა რუსთაველის ძეგლთან უნდა მობრძანდეთ. დანარჩენს იქ გაიგებთ! გოჩა გასვიანი, მებრძოლი უსამართლობის მიმართ... და მოუწოდეთ თქვენთვის ახლობელ, ნამდვილ ქართველებს, ჩვენი და ჩვენი ქვეყნის ბედი ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ! გვფარავდეს და ძალას გვმატებდეს უფალი სამართლიან საქმეში“,** — **ასეთია იმ მოკლე ტექსტური შეტყობინების უცვლელი შინაარსი, რომელიც ორი-სამი დღეა რეგიონების მოსახლეობასთან იგზავნება. დრო და ადგილი კი ირმა ინაშვილის პატრიოტთა ალიანსისა და წინააღმდეგობის მოძრაობის მიერ დაანონსებული აქციისას ემთხვევა, უფრო სწორად, ხალხს ინაშვილის აქციაზე სხვები ეპატიჟებიან. ასეთი „სხვები“, წარსული გამოცდილებით, არაერთხელ აღმოჩენილან შემოგზავნილი პროვოკატორები და ყველაზე უცოდველი აქციაც კი დარბევად უქცევიათ. ვინ არის ამ შეტყობინებების ავტორი, რა არის მისი მიზანი და გადაიზრდება თუ არა ერთდღიანი პროტესტი მასობრივ, გრძელვადიან აქციებში — ამ კითხვებზე „ვერსიას“ ირმა ინაშვილმა უპასუხა.**

— 14 დეკემბერს ბათუმში ერთი აქცია უკვე ჩავატარეთ და მას 10 000-ზე მეტი ადამიანი ესწრებოდა. მთავარი მოთხოვნა ხელისუფლების მიერ სამართლიანობის აღდგენის პროცესისა და გახმაურებული თუ გაუხმაურებელი საქმეების დასრულება იყო. ყველა ერთსულოვანი იყო ამ ამბობდა: საკმარისია, რაც ვითმინეთ და კოჰაბიტაციის დროს ავიტანეთ, ეს ყველაფერი უნდა დასრულდესო. აქციები ქვეყნის მასშტაბით კიდევ გაგრძელდება და მთელ საქართველოს მოიცავს. მარტიდან აქციების ორგანიზებას საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ვგეგმავთ. რაკი ასეთი ტერაქტი მოხდა და ჩვენი უფროსი მეგობარი, თანამებრძოლი იური ვაზაგაშვილი შვილის საფლავზე ააფეთქეს, საჭიროდ მივიჩნიეთ, დღის წესრიგში ეს მოთხოვნები ხელისუფლების მიმართ კიდევ ერთხელ დაგვეყენებინა: სამართლიანობა რეალურად უნდა აღდგეს და დამნაშავეები დაისაჯონ. 31 იანვრის აქცია მხოლოდ იური ვაზაგაშვილის ხსოვნასა და ამ კონკრეტულ ტერაქტს არ ეძღვნება. აქციის მიზანი ყველა იმ დანაშაულის გახსენებაა, რაც სააკაშვილის რეჟიმმა ჩაიდინა და ამ ხელისუფლების პირობებში დღემდე გამოუძიებელია. გარდა ამისა, ყარაფილას ტერაქტის შემდეგ საზოგადოებაში ისევ გაჩნდა შიში. ცნობილი ადამიანები, ვინც რეჟიმს იური ვაზაგაშვილივით შეუპოვრად ებრძოდა, კითხვას სვამენ — ვინ იქნება შემდეგი?! შეიძლება, ამას არ აღიარებენ, მაგრამ უკვე ყველას ეშინია, ამიტომაც ახლა საზოგადოების მთავარი ამოცანაა, ეს შიში დაიძლიოს. 2012 წლის ოქტომბერში თავისუფლება ყველამ ერთად მოვიპოვეთ და, თუ დღეს შიშის გაჩენა ისევ დავუშვით, მაშინ ჩავთვალოთ, ამ მკვლელობის დამკვეთებმა მიზანს მიაღწიეს. მათ სხვა მიზანიც აქვთ — ხალხის გაჩუმება!

**— მარტიდან დაგეგმილი აქციების მთავარი მოთხოვნა რაღა იქნება?**

— ყველა ამ აქციას ერთი სულისკვეთება აქვს. აქ კიდევ ერთი მომენტია — როცა ნაციონალური მოძრაობის წევრებთან დებატებში ვმონაწილეობ, ისინი ყოველთვის ამბობენ, ხალხი მხარს ჩვენ გვიჭერსო. ეს კი მტკნარი სიცრუეა, მათ ხალხის მხარდაჭერა არ აქვთ და სწორედ ამის ჩვენება გვინდა.

**— ანუ აქციები „ოცნების“ წინააღმდეგ იწყება, ნაციონალების თუ ორივესი ერთად?**

— აქციის მიზანია, ხელისუფლებამდე ხალხის გზავნილი მივიდეს, დამნაშავეები დაისაჯონ, „ზონდერები“ გამოვლინდნენ და ძალოვანი სტრუქტურები მათგან გაიწმინდოს. ხელისუფლებასთან ერთი კითხვა მაქვს — ფუჭად რატომ დაკარგა ეს ორი წელი?! ეს გახმაურებული საქმეები აქამდე რომ გამოეძიებინათ, ვინ იცის, იქნებ, დღეს იური ვაზაგაშვილის მოკვლა ვერც გაებედათ?!

**— ბოლო 2 დღეა რეგიონებში შეტყობინება ვრცელდება — ვიღაც, ხალხს 31 იანვარს 3 საათზე რუსთაველის ძეგლთან ეპატიჟება, თუმცა სახელს არ უთითებს და მოწოდებაც ცოტა განსხვავებულია. ეს თქვენი პიარკამპანიის ნაწილია, კონტრაქცია თუ ვიღაც პროვოკაციას გიმზადებთ?**

— ეს ჩემი და ჩვენი საორგანიზაციო ჯგუფის მიერ გავრცელებული შეტყობინება ნამდვილად არ არის. თუმცა ამაში უცნაურს ვერაფერს ვხედავ. შესაძლოა, ეს ერთ-ერთი პატრიოტი ადამიანის ინიციატივაა, რადგან ჩვენს აქციას უამრავი მოხალისე შეუერთდა.

**— აქ საფრთხეებიც უნდა გათვალოთ — არსებობს კი გარანტია, რომ ეს ვინმე შემოგზავნილი არ არის და პროვოკაცია არ მზადდება?**

— გარანტიები არ არსებობს. ფაქტია, ძალიან ფრთხილად და ჭკვიანურად უნდა ვიმოქმედოთ, თუმცა მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია?! თუ საზოგადოება გარეთ არ გამოვიდა და სახლში დარჩა, გვეშინოდეს მაშინ პროვოკაციების და ნურაფერს გავაკეთებთ. ამასობაში, გარწმუნებთ, სხვა ცნობილ ადამიანს ან სახლის სადარბაზოსთან, ან ოფისთან ააფეთქებენ! ჩვენ ზუსტად ეს არ უნდა დავუშვათ, თუ 31 იანვარს ბევრნი ვიქნებით, პროვოკატორები ვერაფერს გაბედავენ. არ შეიძლება, შიშის გამო სახლში ჩავიკეტოთ. პირიქით, გარეთ უნდა გამოვიდეთ და ტერორისტებს ვაჩვენოთ, რომ მათი არ გვეშინია!

**— ამას უკვე ყველა ამბობს, მაგრამ არავინ არაფერს აკონკრეტებს. თქვენ მაინც დააკონკრეტეთ, ვის გულისხმობთ, როცა ცნობილი ადამიანის მკვლელობაზე საუბრობთ?**

— იმის თქმა, რომ ვინმეს ამის შესახებ დეტალური ინფორმაცია აქვს, სასაცილოა. არავინ იცის, რას გეგმავენ ტერორისტები, მაგრამ ვითარებასა და მათ ხელწერას ზოგადად თუ გავაანალიზებთ, სულაც არ ვფიქრობ, რომ შემდეგი შვილმკვდარი მშობელი უნდა იყოს. ტერორისტები, ალბათ, სულ სხვა მიმართულებით წავლენ. შემდეგი შეიძლება იყოს ნებისმიერი ცნობილი ადამიანი, რომელიც იმ გზაზე დგას, რაზეც იური ვაზაგაშვილი იდგა — ანუ მკვლელებსა და მოძალადეებთანაა დაპირისპირებული.

**— პრინციპში, გასულ 2,5 წელს თვალს თუ გადავავლებთ და ნაციონალების აქციას არ ჩავთვლით, თბილისში ასეთი ფართომასშტაბიანი აქცია, ამ მოტივით, პირველად ტარდება. ხალხის მობილიზებას 31-ში ხელს ხომ არ შეუშლის ფაქტი, რომ აქცია მაინც „ოცნების“ წინააღმდეგაა მიმართული?**

— არ შეუშლის! ვინც „ოცნების“ მხარდამჭერია და ამ ხელისუფლების დახმარება სურს, იმასაც უნდა აცნობიერებდეს, რომ „ოცნება“ შესაჯანჯღარებელია. ხელისუფლებამ ის დაკარგული 2 წელი უნდა აანაზღაუროს, რომელიც წყალში გადაგვიყარა. თორემ ერთი და ორი კი არა, ათასობით ადამიანი გამოვა „ოცნების“ წინააღმდეგ ქუჩაში.

## პატიმარი №0578

# „კაიბიჭები“ უკრაინაში მორიგეობენ

## ქართველი კრიმინალები ომში მონაწილეობისთვის „ხელფასად“ იარაღს ითხოვენ

კრიმინალური სამყარო ყოველთვის ახერხებს გადარჩენას. თუ ქვეყანაში კანონი კანონობს, კრიმინალები ცოტა ხნით სხვაგან მიდიან, მაგრამ, როგორც კი ამჩნევენ, რომ ვითარება მათ სასიკეთოდ შემოტრიალდა, ბრუნდებიან და ჩვეულ საქმიანობას განაგრძობენ. ყველაზე მეტად კრიმინალებს ანარქია მოსწონთ და ტყუილად არ იმეორებენ ხშირად — „ანარხია მაწ პარიადკა“.

კრიმინალებისთვის საუკეთესო სეზონი საბრძოლო მოქმედებებია, ოღონდ ისეთ ქვეყანაში, მანამდე დაბანილ-დავარცხნილი რომ იყო, თორემ ავღანეთსა და აფრიკის რესპუბლიკებში სერიოზულ კრიმინალს ვერ ნახავთ. შესაბამისად, არავის უკვირს, რომ ახლა ყველა უკრაინას ეძალება — ქვეყანას, სადაც ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ომია, რომელშიც ყველას თავისი „ბრძოლა“ აქვს გადასატანი. კრიმინალთათვის უკრაინა საინტერესო ადგილად იქცა. დაცარიელებულ ქალაქებში ყველაფერს ძარცვავენ. მერე ნადავლს ან იქვე, ახლომდებარე ქალაქებში ასაღებენ, ან სხვადასხვა ქვეყანაში გააქვთ. მათ შორის საქართველო ერთ-ერთი პირველია და ჩვენში უკრაინიდან, ძირითადად, ფერად ლითონს აგზავნიან. ოქრო-ვერცხლს გასაქცევად გამზადებული მოსახლეობა სახლში არ ტოვებს, თან მიაქვს, მაგრამ ძველებურ ჭურჭელსა და ძვირფას ტექნიკას ვერ ატარებს...

რუსთავის №17 ზონაში იჯდა პატიმარი, რომელიც 2004 წელს, ბესლანის ტრაგედიის დროს იქ იყო და იმის მიუხედავად, რომ საქმე პატარა ბავშვებს ეხებოდა, დაცარიელებულ სახლებს მშვიდად ძარცვავდა. ამის გამო მას ვერავინ ამტყუნებდა, ქურდულად ვცხოვრობ და როგორც მიჭირდა, ისე მიღირდაო.

„ქურდულად ცხოვრობს არა, ჩემი ფეხები! პირველკლასელები ჩახოცეს, მთელი მსოფლიო ტიროდა, ეს სირი კი ჭირისუფლების სახლებში დაძვრებოდა თავისნაირ დამპალ ნარკომანებთან ერთად და წამლის ფულს იპარავდა. მაგასაც ახლა ობშიაკზე არ ეზრუნა და ქურდებთან არ მიეტანა ნილი. ვერ ვხედები, ასეთ რამეს როგორ უპრავებთ?! ფაშისტები ხართ, კაიბიჭები კი არა“, — პატიმარი №0578 მაყურებლების კამერაში მას შემდეგ აყვირდა, რაც ლაშას (პატიმრის სახელი) ვიღაცასთან კამათი მოუვიდა და მაყურებლებმა გაამართლეს.

„რა გინდა შენ კიდევ, რა გაუხურე ამ ლაშას საქმე?! ათასჯერ აქვს ახსნილი, ვიპარავდი, მომპარავი ვარ და რა მექნა აბაო. შეეშვი, რა“, — მშვიდად უთხრა მაყურებელმა, მაგრამ №0578 არ ცხრებოდა.

„გავარტყი მასეთ მომპარავს. ხალხი იქ იყო, ვიღაცის შვილი ჰყავდათ ტერორისტებს, ვიღაცის ძმისშვილი, ვიღაცის შვილიშვილი და როცა მთელი ქალაქი სკოლის გარშემო იყო, ეს დადიოდა და იპარავდა ხო?! ობშიაკში შეიტანა რამე?! ახლა არ მითხრათ, ბესლანში ქურდი არ არისო, თორემ დღესვე გავარკვევ მაგ ამბავს. რას უფრთხილდებით, მე მაგის ჰიტლერი დედა ვატირე“, — პატიმარი №0578 თავს აშკარად ვეღარ აკონტროლებდა.

„კაიბიჭს დედას რა პონტში აგინებ?!“ — ნარზე წამოჯდა კახეთის რეგიონის მაყურებელი. ლაშაც კახელი იყო და როგორც ჩანს, რეგიონის „მაცქერალს“ გული მაგიტომ დაეწვა.

„ჯერ ერთი, მაგას დედა არ ჰყავს. კაიბიჭია და ქურდული სამყაროა მაგის სახლიც, კარიც, დედაც, მამაც, ძმაც. და მეორეც, საგინებელი ეგ კი არა, თქვენ ხართ, კაზლიატნიკის ნაცვლად, კამერაში კაიბიჭად რომ გიზით ეგ სირი“, — შეუღრინა №0578-მა.

კახეთის რეგიონის მაყურებელი ნარიდან წამოდგა და დასარტყმელად გაიწია. ყველა ლოგიკით, პატიმარი №0578 საცემი იყო, რადგან კაიბიჭებს შეურაცხყოფა მიაყენა და თან ისე, რომ ამას მაყურებელიც ისმენდა, მაგრამ ზონის მაყურებელმა კახელი შეაჩერა: „მოიცა, მე გავარკვევ და თუ დასარტყმელია, დავარტყამ. შენ მართლა რა გაახურე საქმე?! ისედაც გამიხურეს, შენი ძმაკაცი რომაა, იმიტომ გავიდა თავს და გვეტლიკინებაო. ახლა ჩვენს გინებაზე გადახვედი?“.

„ვინც მაგას იძახის, გვეტლიკინებაო, იმის დედაც, რადგან არასდროს არასწორი არ მითქვამს და თუ ვინმე მეტყვის, არასწორი თქვაო, პასუხს ვაგებ. მეორე — შენი დისშვილები რომ ჰყავდეთ ტერორისტებს და ბაითი გაგისუფთაონ, რა ხასიათზე დადგები?!“ — არანაკლები ყვირილით უთხრა №0578-მა და მაყურებლისგან ლაზათიანი სილაც მიიღო.

„ახლა არ დამიწყოთ, კაიბიჭის ხელი ვის არ მოხვედრიაო. არ ხარ მართალი, ხელიც არ დამარტყი ჩვენს ძმაკაცობაში სწორად და ახლა წავალ, იმ ლაშას დედას ვაგინებ. მერე დავსხდეთ და ვილაპარაკოთ“, — ჩუმად თქვა №0578-მა, მაგრამ კამერიდან არავინ გაუშვა.

„აქ წესებს ჩვენ ვამკვიდრებთ და არა შენ, ამიტომ დაჯექი და ერთი ადგილი დააყენე. ეგ ლაშა ზონიდან ზუსტად სამ დღეში გადის, დაივიწყე რა“, — დაუყვავა მაყურებელმა.

„სამ დღეში რომ გადის და უცემრად უშვებთ მაგ სირს, ეგ მაგიჟებს, სხვა კი არაფერი“, — შეეპასუხა №0578, მაგრამ ვერაფერს გახდა. სამ დღეში ლაშამ საპყრობილე დატოვა.

* * *

„წინა დღეს ტელევიზორში ლაშას მოვკარი თვალი. უკრაინაშია, სამხედრო ფორმა აცვია და ხომ არ იცი, ვის მხარეს იბრძვის?! დაჭკვიანებულა მგონი“, — პატიმარი №0578 ზონის ყოფილ მაყურებელს სანკტ-პეტერბურგში ურეკავდა.

„ჰო, ვიცი. აქ ეგდო ცოტა ხანს, მანქანებზე და ანტიკვარიატზე ჩალიჩობდა. დაიჭირეს ორჯერ და ორივეჯერ ჯიპები მიგვაყვანინეს პოლიციის უფროსებმა საჩუქრად. ვლადიკავკაზში მოვიპარეთ, აქ ვაჩუქეთ. ეძახე ახლა ამათ პოლიცია. უფრო სწორედ, მილიცია. მერე ომი რომ დაიწყო უკრაინაში, მაშინვე იქეთ მოხია, საქმე ახლა იქ არისო. არავის მხარეს არ იბრძვის, გრაჟდანკებით ხომ არ ივლის, ვიღაცას ნაიომნიკი ვეგონები და მიმახვრიტავსო. დადის ფორმით და რასაც ახერხებს, იპარავს. შენ როგორ ხარ?! სახელები არ გაგეპაროს გაზეთში ჩვენი, თორემ დაგერხევა იცოდე“, — სიცილით უთხრა მაყურებელმა.

„სახელები კი არა, ლაშას ტელეფონი მომეცი, საქმე მაქვს“, — შეაწყვეტინა №0578-მა.

„აუ, ახლა მაგას შენ მორალის კითხვა არ დაუწყო, შეეშვი, დაიკიდე რა. კაცია და გუნება. ყველა პროფესორი ხომ არ იქნება, იმას ასე ესმის ცხოვრება, მოპარვა კიდევ ქურდულია და უკრაინა და რუსეთი თუ ერთმანეთს ჭამენ, ჩვენი გადასახდელი არ არის, ძმაო“, — შეედავა მაყურებელი.

„მორალი არა შაბათის ბალანდა. საქმე მაქვს-მეთქი“, — უთხრა №0578-მა და ორ წუთში უკვე ლაშას ტელეფონზე რეკავდა.

„ლაშა, გაუმარჯოს. ძალიან ცოტა დრო მაქვს და მაქაური სიტუაცია მინდა დეტალებში. შენ რას აკეთებ, ქურდები რას აკეთებენ, ნაიომნიკები. ჩვენები საით არიან, ვისთან არიან, რას უხდიან და ა.შ. მოკლედ, ყველაფერი“, — პატიმარი №0578 ბოლო ხმაზე ყვიროდა, რადგან აშკარა იყო, ტელეფონის მეორე მხარეს ბრძოლები მიდიოდა.

„შენ პროკურორობა ხომ არ დაიწყე, რამდენი კითხვა დამისვი?! არა, მართლა, რად გინდა?!“ — ჩაეკითხა ლაშა.

„უნდა დავწერო. იმას არ დავწერ, ბესლანში რომ ჭირისუფალს პარავდი. მანდ ვის პარავ, ეგ მითხარი და მაგას დავწერ“, — ჩასძახა №0578-მა.

„ეგეც დაწერე თუ გინდა, ბესლანის თემა მკიდია, ქურდებთან გაიასნებული მაქვს და სხვა ვინ რას იფიქრებს, ნაკლებად მაღელვებს. აქაურობას რაც შეეხება, სატვირთო მანქანების გატარების შესაძლებლობა რომ იყოს, საქართველოს აქაური ავეჯით ავავსებდით. ყველაფერი უპატრონოდ არის ყველაფერი. ხალხი მხოლოდ საკუთარ სიცოცხლეზე ფიქრობს. წინა დღეს ერთ კორპუსში ორასი სარეცხი მანქანა მოაგროვეს და ვერაფერი რომ ვერ უქნეს, მერე ავტომატის ჯერი მიუშვეს. ბევრი სიკეთე ფუჭდება, მაგრამ რას იზამ, ომის კანონია“, — უპასუხა ლაშამ.

„ეგ გასაგებია, მაგრამ შენ მანდ საომრად რომ არ იქნები, ფაქტია და ზოგადად, ვის მხარეს ხარ, ვისი ფორმა გაცვია?!“ — ჰკითხა №0578-მა.

„არავის მხარეს არ ვარ. ამ წუთას რუსული შენაერთია რაღაც, ამათთან ვარ. მანამდე უკრაინელებთან ვიყავი. ვის მხარესაც არის ბრძოლის სასწორი, იქით ვარ, რა. ვინც ძლიერია, ის ხომ იღებს ქალაქს ან სოფელს და ჩვენც ეს ახლადაღებული ქალაქი გვაწყობს, რა“, — მარტივად ახსნა ლაშამ.

„ვინ თქვენ?!“ — არ მოეშვა №0578.

„რა ვინ, ჩვენ, ბიჭო, გადაირიე?! ვინც დედამ დაწყევლა თბილისში, ყველა აქაა. ყველა იპარავს, არც ადგილობრივები აკლებენ, მაგრამ საქართველოდან ჩამოსულები ბევრნი ვართ. ზოგი მართლა იბრძვის. უხდიან და იბრძვის. პროფესია აქვთ, ძმაო, ეგეთი. იშვიათად, მაგრამ უფულო მოხალისეებიც არიან საქართველოდან. ორი ყოფილი პატიმარი არის, ერთი ფულის გამო იბრძვის, მეორეს კიდევ უბრალოდ მკვლელობის პონტი უსწორდება — მთავარია, ვინმეს მოკვლის შანსი ჰქონდეს. მაშინაც მკვლელობაზე იჯდა თუ გახსოვს. ახლა ტვინი არ გაბურღო, ხალხი იბრძვის, თქვენ რა გექურდებათო. ასეა ცხოვრება ძმაო, ჩვენ თუ არა, აბა ვინ უნდა მოიპაროს?! ჯარისკაცებმა? დამიჯერე, არაფერი აკლიათ, რა. ამას წინათ, ბოშათა პატარა დასახლება დაბომბეს, ათ კაცამდე მოკვდა და პლოცკოებით დაიარეს ოქროს კბილების დასაძრობად. რა მორალი და ომი, მოიცა რა, თუ ჩემი ძმა ხარ. არის კაცი, აღარ არის კაცი, ეს არის აქაურობის პრინციპი და კაცის სიცოცხლე ზუსტად იმდენად ფასობს, რამდენადაც ჩვენთან ზონაზე კაზიოლისთვის ერთი სილის გარტყმა ფასობდა, ანუ, პრაქტიკულად, შენს სიამოვნებაზეა დამოკიდებული, გინდა, იბრძოლე, არ გინდა, მკვლელობებს უყურე ლაივში“, — გაეცინა ლაშას.

„რას ატყობ, დიდხანს გაგრძელდება ეს ყველაფერი?!“ — ჰკითხა №0578-მა.

არა მგონია. რუსეთს დასვენებული ნაწილებიც ჰყავს და მაგათაც თუ აამუშავებს, კიევში შევლენ. ისე, კიევში თუ შევიდნენ, ჩათვალე, მილიონებს ვიშოვი, კიევია რა, მილიონერთა ქალაქი“.

„მილიონერთა ქალაქი დონეცკიც არის“, — არ მოეშვა №0578.

„სადღაა დონეცკი?! იცი, რა დღეშია?! შეგეცოდება. ეგ კი არა, ქალის გაჭირვებაა, ძმაო, უკრაინაში. დაგინახავენ სამხედროფორმიანს და ყველას ეშინია. გაიხადო და შარია. ამიტომ, თუ წამოსვლას აპირებ, გაითვალისწინე, ქალთან სამხედრო ფორმის გარეშე უნდა იჩალიჩო“, — სიცილით ყვებოდა ლაშა.

„გულახდილად თქვი, არ გიტყდება მაგ პონტში მოპარვა?!“ — ჰკითხა გაოცებულმა №0578-მა.

„არა, არ მიტყდება იმიტომ, რომ აქედან საერთოც ივსება, საქმეც კეთდება და მაგრად მკიდია, ვინ სად იბრძვის და რას აკეთებს. მე ჩემი საქმე მაქვს. ჩვენ თუ არ ვიქნებით, სხვა იქნება. ახლადაღებულ სოფელში პირველად შესვლის სანაცვლოდ ნაწილის უფროსს ხუთი ათას დოლარს ვუხდით, იცი? სხვა გადაუხდის და სხვა იზამს, ძმაო, ეგრე არ არის. აქ ომია, ომი და ომში მგელი უნდა იყო. დიახ, ვიპარავ და მოვიპარავ კიდეც, მაგრამ მკვდრებს კბილებს ნაღდად არ დავაძრობ, მაგით მაინც ვჯობივარ დანარჩენებს“, — დაასრულა მონოლოგი ლაშამ.

**P.S. უკრაინაში არაერთი ქართველი კრიმინალი აქტიურად მონაწილეობს შეიარაღებულ დაპირისპირებაში და „ხელფასად“ მხოლოდ იარაღს ითხოვს. საინტერესოა, ამდენი შეიარაღება რად უნდათ?!**

## ვერსიანიუსი

# შსს-მ დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მეხუთე განყოფილების თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1966 წელს დაბადებული დავით კ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა თბილისში, კახიძის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, 1981 წელს დაბადებული დავით მ. დანით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა. მისი ჯანმრთელობა მძიმეა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე წუთში კახიძის ქუჩაზე დააკავეს. დანაშაულის იარაღი დანა — ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

*„ვერსიანიუსი“*

# შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული ხვიჩა რ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით, ჩოხატაურის რაიონის სოფელ სურებში დააკავეს. სამართალდამცველებმა ბრალდებული იმ დროს დააკავეს, როდესაც მას სოფელ სურების ტერიტორიაზე მდებარე ტყეში დამალული იარაღი საკუთარი ავტომანქანით, ამავე სოფელში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში გადაჰქონდა. დაკავებულის ჩხრეკისას ავტომანქანის საბარგულიდან ამოღებულია „ა-კა-ეს“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი 2 მჭიდითა და 36 საბრძოლო ვაზნით. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით).

*„ვერსიანიუსი“*



# ბელორუსულ სოსისში აფრიკული ჭირის გენეტიკური ჩხირები აღმოაჩინეს

## ემუქრება თუ არა საქართველოს უძველესი ვირუსული დაავადება?

თამარ ლომსაძე
599-209401

**რუსეთის სანიტარული ზედამხედველობის სამსახურმა ბელორუსულ სოსისში აფრიკული ჭირის გენეტიკური ჩხირები აღმოაჩინა. პროდუქციის ამოღება უკვე მიმდინარეობს, მაგრამ მოსახლეობა მაინც პანიკაშია, რადგან ეს პირველი შემთხვევა ნამდვილად არ არის. საქართველოს სურსათის ეროვნულ სააგენტოში განგვიცხადეს, რომ შეშფოთების საფუძველი ჩვენ ნამდვილად არ გვაქვს, რადგან შემოტანილი პროდუქცია ზედმიწევნით მოწმდება შემოტანამდეც და მის მერეც. მიუხედავად ამისა, ფაქტია — სურსათის ეროვნული სააგენტოს კომპეტენცია საბაჟო კონტროლი ნამდვილად არ არის და შესაბამისად, უვარგისი პროდუქციის ფარულად შემოტანის საშიშროება თავისთავად არსებობს.**

რა გახდა აფრიკული ჭირის გავრცელების მიზეზი? ამაზე პასუხი რუსეთის შესაბამის ორგანოებს არ აქვთ, მხოლოდ ვარაუდის დონეზე აცხადებენ, რომ საწარმოებმა შეუმოწმებელი ნედლეული გამოიყენეს (?!), მაგრამ ამ შემთხვევაში ბევრად საინტერესო და შემაშფოთებელი ერთი გარემოებაა — როგორ შენარჩუნდა ვირუსი მზა პროდუქციაში? — ადრე ექსპერტები ირწმუნებოდნენ, რომ ის მაღალ ტემპერატურაზე დამუშავებისას კვდებოდა და სავარაუდო მიზეზად გაყინულ ნედლეულს ასახელებენ.

ასეა თუ ისე, ფაქტია, აფრიკული ჭირი რუსეთში ჯერ კიდევ 2007 წელს დაფიქსირდა ჩრდილოეთ კავკასიაში და მას შემდეგ სხვა რეგიონებიც მოიცვა, მათ შორის თათრეთი, ყაზახეთი... და მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია — ვირუსი, ღორის გარდა, სხვა ცხოველსა და ფრინველზე არ ვრცელდება და არც ადამიანის ჯანმრთელობისთვის წარმოადგენს საფრთხეს, ის არც ვაქცინაციას ექვემდებარება და არც მკურნალობას. დაავადებული და 20 კმ-ს რადიუსით ყველა ღორი უნდა განადგურდეს, რაც სერიოზული დარტყმაა ადგილობრივი ფერმერებისთვის.

ყველაფერი მექრთამე ვეტერინარების ბრალია, — აცხადებენ რუსეთის სანიტარული კონტროლის სამსახურში და ექიმების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებენ, რაც ორი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, თუმცა რამდენად მოაგვარებს მსგავსი მიდგომა არსებულ პრობლემებს, გაურკვეველია, რადგან ზოგიერთი ექსპერტი უფრო შორს მიდის და აფრიკულ ჭირში შეთქმულებას ხედავს. **„აფრიკული ჭირი უძველესი ვირუსული დაავადებაა, რომლის დროსაც სიკვდილიანობა 100 პროცენტია და მიუხედავად იმისა, რომ მკურნალობის ეფექტური საშუალება სამხრეთ აფრიკაში დაარეგისტრირეს ჯერ კიდევ 1903 წელს, წარმოებაში ის ჯერ არ ჩაუშვიათ. სამაგიეროდ დაავადებული ხორცი ჩნდება ბაზარზე. როგორც ჩანს, ქრთამი მხოლოდ ჯოჯოხეთს კი არა, რუსეთის სანიტარულ სამსახურსაც ანათებს. აფრიკული ჭირი ადამიანის სიცოცხლისთვის საშიში არ არის, მხოლოდ ღორის და გარეული ტახის ორგანიზმში ბინადრობს, ხოლო სხვა გარემოში კვდება“** — აცხადებენ სპეციალისტებია, მაგრამ ფაქტია — ვირუსი 112 დღე ნიადაგში, უმ ხორცში 188 დღე, შებოლილ ხორცში დაახლოებით 5 თვე ცოცხლობს... და რა გარანტიაა, მასთან ერთად, ადამიანისთვის ჯანმრთელობისთვის მავნე ჩხირებიც არ მოხვდება უმ ხორცში?.. თუმცა ადგილობრივი ფერმერები კატეგორიულად არ ეთანხმებიან ამ აზრს და აცხადებენ, რომ არავითარი აფრიკული ჭირი არ არსებობს — ეს ყველაფერი გამოიგონეს, რათა გაანადგურონ ადგილობრივი მეურნეობაო.

არსებულ ვითარებაში სიმართლის გარკვევა ადვილი არ არის, თუმცა შეთქმულების თეორია სულ უფრო პოპულარული ხდება.

რაც შეეხება საქართველოს, სურსათის ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა, **გიგა ქურდოვანიძემ** „ვერსიას“ განუცხადა: **„ბელორუსიდან სოსისი და ხორცპროდუქტი ნამდვილად არ შემოდის. საქართველოში სოსისი ძირითადად ადგილობრივი წარმოებისაა და შესაბამისად, ჩვენი ქვეყანა მსგავსი საშიშროების წინაშე არ დგას. გარდა ამისა, აფრიკული ჭირი ადამიანზე არ გადადის, არაკეთილსაიმედო ქვეყნიდან იმპორტის შემთხვევაში კი, პროდუქცია ზედმიწევნით მოწმდება — ჩვენი სპეციალისტები მიდიან ადგილზე, სწავლობენ საწარმოს, ჩამოაქვთ ყველანაირი მასალა და დოკუმენტები, აქ კი კომისიურად ვიღებთ გადაწყვეტილებას, დავუშვათ თუ არა ამა თუ პროდუქციის იმპორტი საქართველოში. რაც შეეხება მავნე პროდუქციის ჩუმად შემოტანას — ვფიქრობ, საქართველომ ეს ეტაპი გაიარა, თუმცა საზღვარს არ ვაკონტროლებთ და შესაბამისად, ამაზე ვერაფერს ვეტყვი“.**



გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ გურიიდან

# „ხმა რომ სჭირდებოდა, დავით დარჩია ხუთჯერ იყო მოსული, მერე დაიმალა“

## დეპუტატის ცყუიდი დაპირება და ხელისუფლებისგან მივიწყებული სოფელი ორმეთი

**„არავის უნდა სოფელი, უმუშევრები ვართ, გზა არ გვაქვს და შუქი. აქ მალე ნასახლარი დარჩება. არაერთხელ მივმართეთ დახმარებისთვის ადგილობრივ და მუნიციპალიტეტის ხელისუფლებას, მაგრამ ყურადღება არავინ მოგვაქცია“,** – შემოგვჩივლა 80 წლის გივი ხომერიკმა, რომელიც კუთვნილ საყანე ფართობში შეშას ამუშავებს. სოფელში ჟურნალისტების გამოჩენისთანავე, მოხუცმა პრობლემებზე გულისტკივილით საუბარი, კითხვის დასმამდე დაიწყო.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფელი ორმეთი ყოველ წელს ცარიელდება. აქ არც მაღაზია, არც ბუნებრივი აირი, ამბულატორია და გზაა. მამაპაპისეულ სახლს ახალგაზრდობა მხოლოდ ზაფხულობით სტუმრობს, ამიტომ გამოკეტილი და უპატრონოდ მიტოვებული სახლი სოფელში ბევრია. როგორც ადგილობრივები ამბობენ, სოფელში მცხოვრებ 200-მდე კომლს მძიმე პრობლემებთან წლებია უწევს გამკლავება. მით უფრო, როცა მათი გასაჭირით დღემდე არც ხელისუფლებიდან დაინტერესებულა ვინმე.

**„თვენახევარია, განცხადება დავწერეთ. ხომ შეიძლება, მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მივიღოთ პასუხი, დაგვეხმარებიან თუ ვერა? დღემდე არავის უპასუხია. რისთვის ვიბრძოლე და ვარბენინე ეს ხალხი „ოცნების ხელისუფლების“ არჩევნებზე, ელემენტარული ყურადღება ხომ შეიძლება მიაქციო სოფლის მოსახლეობას? ხელისუფლების წარმომადგენლებმა სოფლის გეგმა წარგვიდგინონ, წელს რის გაკეთებას აპირებენ და მომავალში რას აპირებენ — რას ვითხოვთ განსაკუთრებულს? სოფლის პროგრამის ფარგლებში ერთი მოსაცდელი არ შეიძლებოდა გაკეთებულიყო, წვიმაში თავი რომ შეაფარო? შევარდნაძის პერიოდში უშუქობა რომ იყო, ახალ წელს უშვებდნენ შუქს. წელს დღესასწაულს ბნელში შევხვდით. მარტო იმით ვართ მადლობლები, რომ მაგ ფარისევლების მოლოცვა არ მოვისმინეთ. დღეს ხელისუფლებაში ფარისევლებია“.**

უგზობა, უშუქობა და დაუსაქმებლობა — ეს ის ძირითადი პრობლემებია, რის გამოც ორმეთელი ახალგაზრდები სოფელს ტოვებენ. მიგრაციის მაღალი მაჩვენებლის შედეგია, რომ მიმდინარე სასწავლო წელს, პირველ კლასში მხოლოდ ორი მოსწავლე ჰყავთ. ადგილობრივები წუხან, რომ სოფელი, სადაც ელემენტარული პირობები არ არის, აღარავის სჭირდება.

**„აქაურობა სოფელს აღარ ჰგავს. მარტო მოხუცები დარჩნენ, ახალგაზრდები გარბიან. ხელისუფლებიდან გარიყულები ვართ. ორმეთელები მართლა ორმოში ვართ ჩაცვევნილები. მეზობელ სოფლებში ღელის პირიც მოწესრიგებულია, ჩვენთან კი, არაფერი კეთდება. ვინ მოვიდნენ ხელისუფლებაში, ვინ არიან ესენი?! წინა ხელისუფლებამ ბეტონის გზის დაგება დაიწყო. მოვიდა „ოცნება“ და გაიყინა ყველაფერი. მთელი სოფელი „ოცნების“ მიტინგზე დამყავდა, ივანიშვილი მოგვხედავს-თქო და არავის გამოუხედია აქეთ“,** – ამბობს ადგილობრივი მკვიდრი, ოტია ხომერიკი.

აქაურების ძირითადი შემოსავლის წყარო მიწათმოქმედება და მესაქონლეობაა. სოფელში არც ამბულატორიაა და არც ექიმი ჰყავთ. წლების წინ აშენებული საექიმო პუნქტი დღემდე არ ფუნქციონირებს. ვერ მოხერხდა მისი აღჭურვა საჭირო ინვენტარითა და აპარატურით. ადგილობრივებს პირდებიან, რომ ამბულატორია მარტში გაიხსნება, თუმცა ხალხს იმედი არ აქვს, რომ დაპირებას აასრულებენ. **ოტია ხომერიკი: „ამ ამბულატორიის აშენებით წინასაარჩევნოდ თვალში ნაცარი შეგვაყარეს. არჩევნების წინ გაიღო ერთხელ მისი კარი და მეორედ ახლა, ჟურნალისტები რომ მოვიდნენ. ხმა სანამ ჭირდებოდა, დავით დარჩია ხუთჯერ იყო მოსული, მერე დაიმალა. გაზეთებში წერს, ორმეთში ბევრი რამ გავაკეთეო. ერთი გაკეთებული საქმე დაასახელოს. ერთი ექთანი გვყავს და სახლში აკითხავს ავადმყოფები წნევის გასასინჯად. თუ არ იხსნებოდა ეს ამბულატორია, რატომ გააკეთეს?“.**

როგორც ორმეთელები ყვებიან, წინასაარჩევნოდ დეპუტატი ზვიად კვაჭანტირაძე ადგილობრივებს დაპირდა, სოფელში, ყოფილი სასადილოს შენობას გავარემონტებთო, თუმცა მას შემდეგ პარლამენტის წევრი სოფელში არავის უნახავს. **„მოვიდნენ დეპუტატები ბესელია და კვაჭანტირაძე, დათო დარჩიაც იყო. დაგვპირდა, შენობას გადავხურავთ და აქ კულტურის ცენტრს გავხსნითო. ვიფიქრეთ, აქ გავხსნით ჭადრაკის სექციას, სამკითხველოს, დავდგამთ კომპიუტერს... სოფელი ვერ ახერხებს ამ შენობის გაკეთებას და ხელისუფლების დახმარება მნიშვნელოვანი იქნებოდა. ჩვენი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა, რაც კვაჭანტირაძე აირჩიეს, თვალით არ გვინახავს სოფელში. შეიძლება, ასე აიგდო სოფლის მოსახლეობა?! გაიხსნებოდა ეს ცენტრი და ახალგაზრდები განვითარდებოდნენ. პირველ კლასში ორი მოსწავლეა, ცოტა ხანში ეს სკოლაც დაიხურება. იმედისმომცემი სიტყვისმთქმელი კაცი არაა ხელისუფლებაში. მაგენს ხმას აღარავინ მისცემს“.**

სოფელში სტიქია ბოლო რამდენიმე წელია გახშირებულია. ადგილობრივები ყვებიან, თუ ხელისუფლებამ ნაპირსამაგრი სამუშაოები დროულად არ ჩაატარა, სახლებს დანგრევის საფრთხე ემუქრება. სტიქიას მოსახლეობა ახლა საკუთარი ძალებით ებრძვის. ადგილობრივი **გივი ხომერიკი** აცხადებს: **„წყალი დიდდება და მიაქვს საკარმიდამო ნაკვეთები. თუ არ გავაკეთეთ გაბიონები, ჩემი სახლი დაინგრევა. ამდენი ფული იხარჯება ინფრასტრუქტურულ პროექტებში და ნუთუ ამ სოფლისთვის არ მორჩა თანხა? ასე როგორ შეიძლება გაწირო საკუთარი მოქალაქეები? ხელისუფლებას სულ დაავიწყდა ეს სოფელი“.**

# კოლინ ჯეკსონი: „მინდოდა, ქართველებისთვის მადლობა ჩემი ჩამოსვლით გადამეხადა“

## მრავალგზის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონის წარმატების საიდუმლო

მაკა ლომაძე, 555-27-95-13

**მსოფლიო რბენა — ყველაზე მასშტაბური საქველმოქმედო ღონისძიება მსოფლიო სპორტის ისტორიაში, 3 მაისს კახეთში, ლოპოტას გადასახვევიდან კავკასიონის ქედის გაყოლებით უკვე მეორედ გაიმართება. მასში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან 3000 ადამიანი დარეგისტრირდა. 2015 წლის 3 მაისს ასიათასობით ადამიანი 40 ქვეყნიდან კვლავ გაერთიანდება, ღონისძიებიდან შემოსული თანხა კი სრულად გადაერიცხება ფონდს Wings for Life (ფრთები სიცოცხლისათვის), რომელიც ახორციელებს სამედიცინო და კლინიკურ კვლევებს ზურგის ტვინის დაზიანების სამკურნალოდ.**

**რამდენიმე დღის წინ, თბილისს ეწვია მსოფლიო რბენის გლობალური სპორტული დირექტორი, ლეგენდარული ბრიტანელი სპორტსმენი კოლინ ჯეკსონი. მისი თქმით, საქართველომ გასულ რბენაზე მოულოდნელად კარგი შედეგი აჩვენა.**

**„ვერსიამ“ 110 მეტრზე ბარიერულ სირბილში სეულის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსან, სამგზის მსოფლიო და შვიდგზის ევროპის ჩემპიონ, მწრთვნელ, მენეჯერ და „ბიბისის“ წამყვან კოლინ ჯეკსონთან, ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა.**

— სამწუხაროა, რომ უამინდობის გამო, გადადებული რეისით ჩამოვფრინდი, დიდი დრო დავკარგე და ისე მალე მიწევს წასვლა, საქართველოში ბევრი რამის ნახვას ვერ ვასწრებ. შარშანდელი რბენა იმდენად კარგად იყო ორგანიზებული, არ შემეძლო, არ ჩამოვსულიყავი და ეს არაჩვეულებრივი გუნდი არ გამეცნო. თქვენი ქვეყანა ძალიან ლამაზია. მოსახლეობა ხვდება, რამდენად მნიშვნელოვანია ამ რბენაში მონაწილეობა და ამიტომ, წელს ძალიან ბევრი ადამიანი დარეგისტრირდა მასში მონაწილეობის მისაღებად. ეს ჩემთვის ძალიან ამაღელვებელი იყო და გადავწყვიტე, ჩემი ჩამოსვლით, პირადად გადამეხადა მადლობა ამ ადამიანებისთვის.

**— რა თვისებები უნდა ჰქონდეს ადამიანს, რათა წარმატებას მიაღწიოს და ჩემპიონიც გახდეს?**

— უნდა გქონდეს მისწრაფება და რწმენა, რასაც აკეთებ. ახალგაზრდებს მოვუწოდებ, ოცნება არ შეწყვიტონ, რადგან, ოცნება შეიძლება, ერთ დღეს, რეალობად იქცეს. მთავარია, გწამდეს. ბევრს ამაში რელიგიაც ეხმარება. რელიგიური არ ვარ, მაგრამ ყოველთვის მაქვს რწმენა, რაც გულით გინდა, გამოვა. მჯერა, როგორ ენერგიასაც გაუშვებ კოსმოსში, ისეთივე დაგიბრუნდება უკან.

**— რწმენის გარდა, ალბათ ტალანტი, დიდი შრომა და იღბალიც აუცილებელია...**

— დიახ. რაც ჩამოთვალეთ, ყველაფერი თანაბრადაა საჭირო. „ბიბისიზე“ სამეცნიერო დოკუმენტურ გადაცემათა ციკლი მიმყავდა, რომელიც სწორედ ამ თემას ეხებოდა. გადაცემის მთავარი კითხვები იყო: არის წარმატების საფუძველი მონაცემები და ნიჭი? დასკვნა იყო — დიახ! არის ეს ასევე მძიმე გარჯის შედეგი? — პასუხი ისევ დადებითი იყო. ასე რომ, საერთო განმარტება არ არსებობს — წარმატების საიდუმლო ბევრი თვისების კომბინაციაა. ბევრი რამ კი, გამართლებაზეა — მოხვდე სწორ დროს, სწორ ადგილას. ასე მოხდა ჩემ შემთხვევაშიც — მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ათლეტთა მწვრთნელი, ჩემი სახლიდან 14 წუთის სავალზე ცხოვრობდა. რა თქმა უნდა, იღბალია, როცა ცხვირწინ ცხოვრობს ადამიანი, რომელმაც 70-ზე მეტი ჩემპიონი აღუზარდა მსოფლიოს. ასეც რომ არ მომხდარიყო, ჩემი მშობლები იამაიკელები არიან და სპორტისკენ მიდრეკილება, გენებშიც მქონდა.

**— როგორია ჩემპიონის ფსიქოლოგია?**

— ათლეტის ფსიქოლოგია სრულიად უნიკალურია. არავის უნდა მიბაძო, შენ ხარ შენ! რადგანაც თითოეულ ჩემპიონს საკუთარი გზა აქვს მწვერვალისკენ!

**— რა არის ყველაზე დიდი გატაცება თქვენი სამსახურის მიღმა?**

— ძალიან გამიმართლა, რომ ასეთი დაკავებული ვარ. ჩემი საქმე ყოველდღიურად უდიდეს სტიმულს მაძლევს. „ბიბისიზეც“ ვმუშაობ და კარიერასაც მივდევ, მაგრამ, ასევე მაქვს საკუთარი ფონდი, ვაკეთებ დოკუმენტური ფილმების ციკლს, პარალელურად რამდენიმე პროექტი მაქვს, რომლებიც ეთერში გაზაფხულზე გავა.

# პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეების“ ფინანსური ანგარიში

პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები"-ს 2014 წლის ფინანსური მდგომარეობის (შემოსავალ-გასავლის) ანალიზი

1. დაფინანსების წყაროები:

1.1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება — 116 637 ლარი;

1.2 "საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი"-ს დაფინანსება — 63 037.92 ლარი.

სულ: 179 674.92 ლარი.

2. ხარჯვითი ნაწილი:

2.1. შრომის ანაზღაურება-გაცემული ხელფასები — 69 812.5 ლარი;
2.2. ოფისის ივარის ხარჯები — 19 944.76 ლარი;
2.3. ოფისის შენახვის სხვა ხარჯები — 29 296.6ლარი;
2.4. "საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი"-ს დაფინანსების მიზნობრივი ხარჯები — 20 185.22 ლარი.

სულ: — 139 239 ლარი.

3. სალაროსა და საბანკო დაწესებულებაში რიცხული თანხის ოდენობა:

3.1. სალაროს ნაშთი — 178არი;
3.2 "თი ბი სი" ბანკის მარჯანიშვილის ფილიალი — 57 083.52 ლარი.

პ/გ "ახალი მემარჯვენეები"-ს პარტიის თავმჯდომარე — ფ. ჩიხრაძე

მთ. ბუღალტერი — ლ. ვაჩიბერიძე

საჯარო სექტორის აუდიტორი — ბ.ვარდიძე

ბ ა ლ ა ნ ს ი

| | საანგარიშო პერიოდის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს |
|---|---|---|
| მიმდინარე ა ქ ტ ი ვ ე ბ ი , სულ: | 201358 | 57337 |
| ფულადი სახსრები | 200633 | 57262 |
| მოკლევადიანი ინვესტიციები | - | - |
| დებიტორული დავალიანება მიწოდ. და მომსახურებიდან | - | - |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები | - | - |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგი | - | - |
| წინასწარ გაწეული ხარჯი და გადახდილი გადასახადი | 725 | 75 |
| მისაღები დივიდენდები, პროცენტები, ანალოგ. მოთხ. | - | - |
| სხვა მიმდინარე აქტივები | - | - |
| გრძელვადიანი ა ქ ტ ი ვ ე ბ ი , სულ: | 9722 | 9031 |
| ძირითადი საშუალებები | 1637 | 1054 |
| არამატერიალური აქტივები | 4085 | 3977 |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი | - | - |
| გრძელვადიანი მოთხოვნები | - | - |
| გრძელვადიანი ინვესტიციები | 4000 | 4000 |
| ბ.შ. კაპიტალ-მეთოდით აღრიცხ. ინვესტიციები | - | - |
| სულ ა ქ ტ ი ვ ე ბ ი : | 211080 | 66368 |
| მოკლევადიანი ვ ა ლ დ ებ უ ლ ებ ებ ი , სულ: | - | 11179 |
| ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან | - | 11179 |
| მოკლევადიანი სესხები | - | - |
| საგადასახადო ვალდებულებები | - | - |
| გასაცემი დივიდენდები, პროცენტები, ანალოგ. ვალდ. | - | - |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | - | - |
| გრძელვადიანი ვ ა ლ დ ებ უ ლ ებ ებ ი , სულ: | - | - |
| გრძელვადიანი სესხები | - | - |
| ანარიცხები | - | - |
| გადავადებული მოგების გადასახადი | - | - |
| სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები | - | - |
| გადავადებული შემოსავალი | - | - |
| სულ ვ ა ლ დ ებ უ ლ ებ ებ ი : | - | 11179 |
| კ ა პ ი ტ ა ლ ი | | |
| საწესდებო კაპიტალი | - | - |
| გაუნაწილებელი მოგება / დაუფარავი ზარალი | - | - |
| ბ.შ. მიმდინარე წლის მოგება / ზარალი | | - |
| რეზერვები და დაფინანსება | 211080 | 55189 |
| უმცირესობის წილი | - | - |
| სულ კ ა პ ი ტ ა ლ ი : | 211080 | 55189 |
| სულ ვ ა ლ დ ებ უ ლ ებ ებ ი და კ ა პ ი ტ ა ლ ი : | 211080 | 66368 |

ხელმძღვანელი:

საჯარო სექტორის აუდიტორი
უძრავი ქონების შეფასების ექსპერტი
ინდივიდუალური აუდიტორი
ბელა ვარდიძე

ქ. თბილისი, ტყეიავის ჩიხი № 10 ტელ: 559 23 00 44

№ 7/77 23 იანვარი 2015 წ.

დასკვნა

საჯარო სექტორის აუდიტორმა, უძრავი ქონების შეფასების ექსპერტმა და საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ სერტიფიცირებულმა დამოუკიდებელმა აუდიტორმა (სერთიფიკატები:№0068, №006 და №5/434) ბელა ვარდიძემ (პ/№60103003260 1) ჩავატარე პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები"-ს 2014 წლის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

აღნიშნული ორგანიზაცია წარმოადგენს პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 11.07.2011წ. რეგისტრაციის მოწმობა №142, საიდენტიფიკაციო კოდი №204427833, იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ჯ.კალანდაძის ქ.№3;

აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა ისეთი ფორმით, რომ დაარწმუნებულიყავით ფინანსური ანგარიშგების უტყუარობაში.

აუდიტისათვის წარმოდგენილი საალრიცხვო დოკუმენტების და საანგარიშგებო მონაცემების მომზადებაზე, მათ სისრულეზე და სინამდვილეზე პასუხისმგებლობა აკისრია ზემოთადნიშნული ორგანიზაციის ხელმძღვანელს. დასკვნა ეფუძნება დაშვებას, რომ ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია უტყუარია. აუდიტორის პასუხისმგებლობას შეადგენს ის, რომ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატო აზრი მოცემული ანგარიშგების უტყუარობაზე.

აუდიტორული შემოწმების შედეგების მიხედვით, პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები" არ ეწევიან კომერციულ საქმიანობას. მის მიზნის წარმოადგენს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება, აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა, ხოლო

მისი დაფინანსება ძირითადად ხდება სახელმწიფო დაფინანსების, საწევრო შენატანებისა და შემოწირულობების ხარჯზე. ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით.

ჩემი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ბ. ვარდიძე

შ ე მ ო წ მ ა ც ე ბ უ ლ ი ა
ბასს 1 და ბასს 7-ის მიხედვით

ს ა წ ა რ მ ო ს ფ ი ნ ა ნ ს ი ო ა ნ გ ა რ ი შ გ ებ ა

2015 წლის 1 იანვარი-სოფის

წარდგენილია ერთ საწარმოზე თუ საწარმოთა ჯგუფზე ერთი

საწარმოს (ჯგუფისათვის - სათაო საწარმოს) საიდენტიფიკაციო ნომერი № 204427833

საფირმო სახელწოდება პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები"

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა პოლიტიკური გაერთიანება

იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ჯ. კალანდაძის ქ. №3

დარგი (საქმიანობის სახე) პოლიტიკური საქმიანობა

ზომის ერთეული და სიზუსტის ხარისხი 1 ლარი

# „300 არაგველთან“ „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ბანკის“ ფილიალი გაიხსნა

მეტროსადგურ „300 არაგველის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ, წინანდლის ქუჩისა და ქეთევან წამებულის გამზირის კვეთაზე, „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ბანკის“ ფილიალი გაიხსნა.

როგორც ბანკის ხელმძღვანელმა, ნატალია კვანტალიანმა „ვერსიას“ განუცხადა, ბანკის ახალ ფილიალში მსურველებს სისხლის ჩაბარება საქართველოში ყველაზე მაღალი ანაზღაურებით შეეძლებათ.

ამასთან, ახალ ფილიალში სისხლის ყიდვაც იქნება შესაძლებელი.

წინანდლის ქუჩისა და ქეთევან წამებულის გამზირის კვეთაზე გახსნილი „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ბანკის“ ფილიალი უანგარო დონორებსაც მოემსახურება.

აქვე, შეგახსენებთ, რომ „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ბანკი“ საქართველოში ყველაზე ძველი და დიდი ტრადიციების მქონე ბანკია.

1. შეიარაღებული დაცვა
2. ალ. მაკედონელის აღმზრდელი
3. იულიუს კეისრის გადალახული მდინარე
4. დიუმას (შვილი) მარგარიტა ...
5. პორისჭამა სადილსა და ვახშამს შორის
6. უაზრობა, შეუსაბამობა
7. ქართული ხალხური სიმღერა
8. ფრანგული ავტომარკა
9. შაქრის ავადმყოფობა
10. ქალაქის ან სოფლის ნაწილი
11. ჯუზეპე ვერდის ოპერა
12. იგივეა, რაც დურბინდი
13. ესპანეთის საფეხბ. კლუბი
14. მითიური ამირანის დედა
15. დაკოდილი ცხენი
16. მარადონას ერთ-ერთი სახელი
17. ღმერთების ხელმწიფე ვედიზმში
18. დიდი არწივი
19. (ძვ.) ტყავის გამომყვანი ხელოსანი
20. ხის ჩასაბერი საკრავი
21. ბემოლის ანტიპოდი
22. ალ. ბასილაიას ანსამბლი
23. დათვის ნამიერი
24. ტრიგონომეტრიული ფუნქცია
25. მგლის ნაშიერი
26. ბადმინტონის „ბურთი“
27. გოლიათი ქართულ ზღაპრებში
28. კრემიანი ნამცხვარი
29. უკრაინის პარლამენტის სახელწოდება
30. კომპოზიტორი ... მორიკონე
31. აპოლონის და არტემიდეს დედა
32. თანაბარი ანგარიში ფეხბურთში
33. ხარებშემშული ორთვალა საზიდარი
34. კვამლიანი ნისლი
35. ცხელი ალკოჰოლური სასმელი
36. ოპერა „კარმენის“ ავტორი
37. მსახიობი ვივიენ ...
38. ჯუჯა კამერი
39. თავადაზნაურული ტიტული ინგლისში
40. ცხოველების სათავსი ზოოპარკში
41. (ბატ.) საგნების გამოსახ. პერსპექტივაში
42. პირისახის ძვალი
43. პარკოსანი მცენარე
44. ისტ. მხარე სამხრეთ საქართველო.
45. ცეცხლის მნათი ნაწილი
46. მდინარე აზიაში
47. ბალახის ჩრდილი
48. ჯუჯა ხეების გამოზრდის ხელოვნება
49. გამოუცდელი, მიამიტი ადამიანი
50. მდინარე შვეიცარიის დედაქალაქში
51. ომში დაჭრილების მძარცველი ჯარისკაცი
52. მწერალი ედგარ ალან ...
53. მარადმწვანე დაბალი ხე
54. კორეული ავტომარკა
55. კუკარაჩას ცოლი
56. ღრმა ორმო წყლისათვის
57. მიმდინარეობა თანამედროვე მუსიკაში
58. ჯადოქრობა, მისნობა
59. ინდონეზიის კუნძული
60. შავკანიანი ადამიანი
61. ძველი რომის იმპერატორთა ტიტული
62. ამაზონის დელფინი
63. აიეტის სამეფო

# პლაჟზე ღორებთან ერთად იბანერებენ

ბაჰამის კუნძულებზე უჩვეულო პლაჟია — აქაურ ძვირადღირებულ სანაპიროზე დამსვენებლები დროს ღორების გვერდით ატარებენ. კუნძულის დასავლეთ ნაწილში 20 ჩვეულებრივი ღორი ცხოვრობს, რომლებიც ადამიანებს არ არიდებიან, ცხოველების სითამამით აღფრთოვანებული დამსვენებლები კი სიამოვნებით კვებავენ მათ. როგორ აღმოჩნდნენ პიგ-აილენდზე ღორები, რომელთაც პატრონი არ ჰყავთ? — ადგილობრივები სხვადასხვა ისტორიას ყვებიან... ერთ-ერთი ვერსიით, კუნძულის სიახლოვეს, რიფებთან შეჯახების შედეგად გემი ჩაიძირა, რომელზეც ცხოველები იმყოფებოდნენ. მათ ნაპირამდე ცურვით მიაღწიეს და მერე კუნძულზე გამრავლდნენ. მეორე ვერსია მეკობრეებს უკავშირდება — მათ ცხოველები დატოვეს, რათა დაბრუნებულებს საკვები ჰქონოდათ. კიდევ ერთი და ყველაზე სარწმუნო ვარაუდით, ღირების მოშინაურების იდეა თავად ტურისტულ სააგენტოებს ეკუთვის, რითიც კლიენტებს იზიდავენ.

# უფასო სადილი მომხიბლავი გარეგნობისთვის

ჩინეთის ქალაქ ჩჟენჩჟოუში მდებარე რესტორანი ექსპერიმენტს ატარებს და კლიენტებს სთავაზობს, კვების საფასური ახალი მეთოდით — საკუთარი გარეგნობით გადაიხადონ და როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, დაწესებულება საამისოდ ფეის-კონტროლ იყენებს. კლიენტების ფოტოს მანამდე იღებენ, ვიდრე ისინი მაგიდას მიუსხდებიან, შემდეგ მათ გარეგნობას „ექსპერტთა“ ჯგუფი აფასებს, რომელშიც პლასტიკური ქირურგები შედიან. ვისაც ისინი ლამაზად მიიჩნევენ, რესტორანი სადილის საფასურს არ ახდევინებს. ეს სიახლე სოციალურ ქსელში დიდი განხილვის საგანი გახდა, ხალხი უფასოდ კვების საკუთარ შანსს აფასებდა. მართალია, იდეა ყველას არ მოეწონა, მათ შორის, არც ქალაქის ხელისუფლებას, მაგრამ რესტორანი აქციას მაინც ატარებს.

# ლგბტ-ბავშვებს სკოლას გაუხსნიან

მანჩესტერში 2018 წლისთვის იგეგმება ლგბტ-ბავშვებისთვის პირველი სკოლის გახსნა. სპეციალიზებული სასწავლო დაწესებულების გახსნის ინიციატორი ორგანიზაცია LGBT Youth North West-ა, რომელიც სექსუალური უმცირესობების უფლებებს იცავს. სკოლა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაიხსნება, დაფინანსების ნაწილს კი — 16 ათას გირვანქა სტერლინგს (24 ათასი დოლარი) წელიწადში სა ინიციატორი ორგანიზაცია გაიღებს. პროექტის შემუშავებისთვის ქალაქის ხელისუფლებისგან მათ უკვე მიიღეს გრანტო 63 ათასი გირვანქის რაოდენობით. სკოლაში მხოლოდ 60 ადგილი იქნება. მოსწავლეების მიღებისას კი აქცენტი იმ ბავშვებზე გაკეთდება, რომლებიც უკვე „გაერკვნენ“ საკუთარ ორიენტაციაში და თავს ლგბტ-საზოგადოების ნაწილად მიიჩნევენ. თუმცა, ვარაუდობენ, რომ ამ, სასწავლო დაწესებულებაში ადგილები ტრადიციული ორიენტაციის ბავშვებისთვისაც იქნება. LGBT Youth North West-ის წარმომადგენლის განცხადებით, მიუხედავად არსებული კანონმდებლობისა, რომელიც გეებს იცავს დამცირებისგან, ჩვეულებრივ სკოლებში მაინც ხშირია მათი დაშინებისა დ შევიწროების ფაქტი.

# ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲒᲐᲜᲘᲐ

### ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 5 | | 7 | | |
| 5 | | 7 | | 8 | | | 9 | |
| 6 | 3 | 4 | 9 | | | 5 | | |
| | | | | | | 6 | | 7 |
| 2 | | | 7 | | 5 | | | 4 |
| 1 | | 6 | | | | | | |
| | | 2 | | | 8 | 4 | 7 | 5 |
| | 6 | | | 3 | | 9 | | 1 |
| | | 5 | | 1 | | | | |

### ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | | | | | |
| | | | | | 4 | | 8 | |
| 7 | | 4 | | | 3 | | 1 | |
| | 2 | 6 | 3 | | | | | |
| 9 | | 8 | | | | 4 | | 1 |
| | | | | | 6 | 8 | 3 | |
| | 1 | | 2 | | | 9 | | 5 |
| | 9 | | 8 | | | | | |
| | | | | | 1 | | | |

### ᲠᲗᲣᲚᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | |
| 9 | | 3 | 2 | | | | | |
| 4 | 2 | | 7 | 6 | 3 | 5 | | |
| | | 4 | 6 | | 7 | 1 | | |
| 7 | | | 4 | | 5 | | | 6 |
| | | 5 | 3 | | 1 | 2 | | |
| | | 7 | 1 | 5 | 4 | | 8 | 2 |
| | | | | | 2 | 4 | | 1 |
| | | | | | | | | |

### ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | 4 | | 1 | 8 | 7 | | |
| 7 | | | 9 | | 6 | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | 2 | | | 9 | 1 |
| | 9 | 8 | | | | 3 | 2 | |
| 1 | 7 | | | 8 | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | 1 | | 4 | | | 6 |
| | | 6 | 5 | 9 | | 1 | 4 | |

# ᲤᲔᲙᲐᲚᲘᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲔᲡ

აშშ-ში საკმაოდ პოპულარიულია ახალი მიმართულება ნაწლავების საშიში ინფექციების მკურნალობაში — ეს დონორული ფეკალიების „გადანერგვაა“, რომელიც ნაწლავის ჯანმრთელ მიკროფლორას შეიცავს. ამიერიდან, ექიმებიცა და პაციენტებიც შესაფერისი დონორული მასალის მოძებნას მოფლიოში პირველი დონორული ფეკალიების ბანკში შეძლებენ, რომელიც მასაჩუსეტსის შტატში მდებარეობს. ამ უჩვეულო ბანკის შესახებ, რომელიც ფეკალიებს საგულდაგულოდ შერჩეული და შემოწმებული ჯანმრთელი დონორებისგან იღებს, დასავლური მედიაც წერს. ფეკალიების ბანკის შექმნაზე შესაბამისმა სამსახურებმა ნებართვა გასცეს, მხოლოდ ტრანპლანტაცია ჯერჯერობით „ექსპერიმენტული წამლის“ რანგში ხდება. ეს ნიშნავს, რომ მკურნალმა ექიმმა უნდა მიიღოს ნებართვა, ყოველი პაციენტისთვის. ბოლო წლების გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ფეკალიების „გადანერგვა“ — ოპტიმალური მეთოდია საშიში ნაწლავური ინფექციების მკურნალობისა, რომელიც გამოწვეულია ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტული ბაქტერიით Clostridium difficile. ეს ინფექცია ყოველწლიურად ნახევარ მილიონზე მეტ ამერიკელს ემართება და მის გამო წელიწადში 15 ათასი ადამიანი კვდება. დამტკიცებულია, რომ ნაწლავური მიკროფლორის გადანერგვა სასწაულს ახდენს — კურნავს ქრონიკულ დაავადებებს რამდენიმე დღეში, ყოველგვარი გვერდითი ეფექტების გარეშე.

# ღალატი – გენეტიკური დაავადება

ბრიტანელმა სწავლულებმა კვლევა ჩაატარეს, რომლის მიხედვითაც დაასკვნეს, რომ ღალატი გენეტიკურ დაავადებათა რიცხვს განეკუთვნება. გამოკვლევაში მონაწილეობა 2000-მა ინგლისელმა მიიღო. აღმოჩნდა, რომ 100 ქალბატონიდან, რომლებიც მეუღლეს ღალატობენ, 70%-ის შვილებიც არ გამოირჩევიან ერთგულებით. გამოკვლევამ ისიც აჩვენა, რომ განსაკუთრებით მძლავრი დედის „მოღალატე“ გენია და ის აქტიურად გადაეცემა შვილს, განსაკუთრებით ვაჟს. როგორც სხვა გენეტიკურ დაავადებასთან, ღალატთან ბრძოლაც, ხშირ შემთხვევაში, უსარგებლოა, მკურნალობა შეეუძლებელია, — ამტკიცებენ სწავლულები.

# თოვლის ბოსვლას აპროტესტებენ

ნორვეგიის გუბერნია ეუსტ-აგდერის პოლიცია ადგილობრივ მოსახლეობას სთხოვს, შეწყვიტონ განყოფილებებში რეკვა და თოვლის გამო ჩივილი. სამართალდამცავები სოციალურ ქსელში, საკუთარ გვერდზე აცხადებენ, რომ ამგვარი მიმართვა უამრავი მოქალაქისგან მიიღეს. ხალხი რეკავს და ჩივის, რომ თოვლის გამო სამსახურში აგვიანდებათ, ან ფოსტალიონმა გაზეთი ვერ მიუტანა და ასე შემდეგ. ასეთი განცხადებები ჩვენს მიერ ბოლო რიგში განიხილება, — წერენ პოლიციის თანამშრომლები. მათი თქმით, ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ ნორვეგიაში ცხოვრობენ და უნდათ თუ არა, თოვლი მაინც მოვა. ეუსტ-აგდერი ქვეყნის სამხრეთით, ატლანტიკის სანაპიროზე მდებარეობს, სადაც კარგადაა განვითარებული სამთო-სათხილამურო ტურიზმი.

# ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

### ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 1 | 9 | 2 | 4 | 8 | 7 | 6 | 5 |
| 6 | 8 | 7 | 5 | 3 | 1 | 4 | 2 | 9 |
| 5 | 4 | 2 | 9 | 7 | 6 | 3 | 8 | 1 |
| 4 | 9 | 1 | 3 | 8 | 5 | 2 | 7 | 6 |
| 2 | 5 | 8 | 1 | 6 | 7 | 9 | 4 | 3 |
| 7 | 6 | 3 | 4 | 2 | 9 | 5 | 1 | 8 |
| 9 | 7 | 5 | 8 | 1 | 2 | 6 | 3 | 4 |
| 1 | 3 | 6 | 7 | 9 | 4 | 8 | 5 | 2 |
| 8 | 2 | 4 | 6 | 5 | 3 | 1 | 9 | 7 |

### ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 4 | 9 | 1 | 6 | 3 | 2 | 5 |
| 5 | 3 | 2 | 8 | 7 | 4 | 1 | 6 | 9 |
| 6 | 1 | 9 | 2 | 3 | 5 | 4 | 8 | 7 |
| 4 | 9 | 8 | 7 | 6 | 3 | 2 | 5 | 1 |
| 3 | 2 | 7 | 5 | 9 | 1 | 8 | 4 | 6 |
| 1 | 5 | 6 | 4 | 2 | 8 | 9 | 7 | 3 |
| 9 | 6 | 5 | 1 | 4 | 2 | 7 | 3 | 8 |
| 7 | 4 | 3 | 6 | 8 | 9 | 5 | 1 | 2 |
| 2 | 8 | 1 | 3 | 5 | 7 | 6 | 9 | 4 |

### ᲠᲗᲣᲚᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 3 | 1 | 4 | 9 | 6 | 8 | 7 | 5 |
| 8 | 7 | 6 | 5 | 3 | 2 | 4 | 1 | 9 |
| 9 | 5 | 4 | 1 | 8 | 7 | 6 | 3 | 2 |
| 1 | 9 | 8 | 2 | 7 | 4 | 5 | 6 | 3 |
| 4 | 6 | 3 | 9 | 1 | 5 | 2 | 8 | 7 |
| 7 | 2 | 5 | 8 | 6 | 3 | 1 | 9 | 4 |
| 6 | 1 | 2 | 3 | 5 | 9 | 7 | 4 | 8 |
| 5 | 8 | 9 | 7 | 4 | 1 | 3 | 2 | 6 |
| 3 | 4 | 7 | 6 | 2 | 8 | 9 | 5 | 1 |

### ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 5 | 2 | 9 | 6 | 4 | 3 | 1 |
| 1 | 4 | 9 | 3 | 8 | 7 | 2 | 6 | 5 |
| 3 | 6 | 2 | 5 | 4 | 1 | 9 | 8 | 7 |
| 9 | 3 | 4 | 8 | 5 | 2 | 1 | 7 | 6 |
| 7 | 1 | 8 | 9 | 6 | 4 | 5 | 2 | 3 |
| 5 | 2 | 6 | 1 | 7 | 3 | 8 | 4 | 9 |
| 4 | 9 | 3 | 7 | 2 | 5 | 6 | 1 | 8 |
| 6 | 8 | 1 | 4 | 3 | 9 | 7 | 5 | 2 |
| 2 | 5 | 7 | 6 | 1 | 8 | 3 | 9 | 4 |

მე-10 გვერდი: 1. მედრესე; 2. ედემი; 3. რიონი; 4. სეიმი; 5. პროფილი; 6. რეპეტიტორი; 7. ფილუმენია; 8. ლენა; 9. ჰედონია; 10. კამარილია; 11. ლორდოზი; 12. ბრაბანციო; 13. აპოლონი; 14. ორომი; 15. ონი; 16. ოლე; 17. ლივერი; 18. სომბრერო; 19. სამურზაყანო; 20. უნა; 21. ბილიკი; 22. ატომი; 23. ატრიბუტი; 24. კოტონი; 25. გრიმო; 26. ანდები; 27. ყირგიზი; 28. ონაგრი; 29. კომი; 30. გიპიური; 31. არარა; 32. ნოტიო; 33. მორიაკი; 34. მარაო; 35. ზანგი; 36. გრიპი; 37. ამაო; 38. შოუ; 39. ორტი; 40. კრივი; 41. კაა; 42. ციგურები; 43. პინო; 44. შოკი; 45. პო; 46. რელსი; 47. ნო; 48. ბიზე; 49. კლიო; 50. მი; 51. რტო; 52. მინუტი; 53. პუარო; 54. რუანი; 55. ბმო; 56. ელეგია; 57. ბოი; 58. ლოუ; 59. შუ; 60. რატუშა.

მე-12 გვერდი: 1. მანდატი; 2. ბერტოლუჩი; 3. ტიტესტერი; 4. ლეკალო; 5. აბსანსი; 6. დინდგელი; 7. ტიტანი; 8. სპაიდერმენი; 9. ოსიაური; 10. კატერი; 11. სონეტი; 12. აკინაკი; 13. ინფანტი; 14. არვე; 15. ლასო; 16. ნაგანი; 17. პოსტ; 18. ნეი; 19. ნიკე; 20. რაში; 21. ვინუსი; 22. მამაი; 23. ისლი; 24. რძე; 25. პრიზმა; 26. რევიუ; 27. იდო; 28. აგნი; 29. იდები; 30. პიგმეი; 31. იუნგა; 32. ელპიდე; 33. მე; 34. ჯანღი; 35. განიმედი; 36. ტიკი; 37. იღლია; 38. კლანი; 39. მაგდუ; 40. ალო; 41. ამპერი; 42. ემა; 43. ნუღლი; 44. ომსკი; 45. პილატე; 46. მდადე; 47. ტაეკვონდო; 48. ლენტი; 49. პერი; 50. ლა; 51. ოლიმპო; 52. ზოგჯერ; 53. ზოია; 54. ორკესტრი; 55. რეა; 56. არატი; 57. კაკოფონია; 58. დანტე; 59. რელე; 60. ფიდე; 61. ვაიო; 62. ლაიმა; 63. ბრაილი; 64. ირაო; 65. ბუდე; 66. ოქსიდი; 67. ოიამა; 68. ნიში; 69. ტიტა; 70. ტრემბიტა; 71. მაო; 72. ასა; 73. ალოე; 74. პური; 75. კრედო; 76. ალან; 77. ადონაი; 78. ედო; 79. მხალი; 80. გალანტერეა; 81. ოდა; 82. ნო; 83. აკრი; 84. ტროა; 85. აერო; 86. გნუ; 87. სიო.

# ქონებას ძაღლს უტოვებს

ნიუ-იორკელმა მდიდარმა ქალბატონმა როუზ-ენ ბოლანსიმ ანდერძში საყვარელი ოთხფეხა მეგობარი, მალტური „ბალონკა“ შეიყვანა. ამ დოკუმენტის მიხედვით, ძაღლი, სახელად „ბელა მია“, პატრონის სიკვდილის შემდეგ ყოველწლიურად 100 ათას დოლარს მიიღებს. ქალბატონი ბოლანსის თქმით, „ბალონკა“ მისთვის ქალიშვილივითაა, რომელიც არასოდეს ჰყოლია. ბელა მია მდიდრულ ცხოვრებასაა მიჩვეული და მინდა, დარწმუნებული ვიყო, ჩემი სიკვდილის მერეც ამ მხრივ არაფერი შეიცვლება, — ამბობს 60 წლის როუზი. ძაღლს საკუთარი საძინებელი აქვს ორადგილიანი საწოლით, ასევე საკუთარი გარდერობი, სადაც ათასზე მეტი კოსტიუმი და აქსესუარია, მათ შორის ბრილიანტის დიადემა. „ბალონკა“ საყვარელ პატრონთან ერთად, მაგიდასთან მიირთმევს და ხუთვარსკვლავიან სასტუმროში ცხოვრობს. აღსანიშნავია, რომ ბოლანსის ორმა ვაჟმა მხარი დაუჭირა დედის გადაწყვეტილებას. ისინი წარმატებული ადამიანები არიან და ჩემი ფული არ სჭირდებათ, — აცხადებს როუზი.

# მთქნარება ტვინს ასტიმულირებს

დაღლილობის, მოწყენილობის ან ძილის მორევის დროს თავის ტვინში შემაფერხებელი პროცესორები აღმგზნებ პროცესორებს ჯობნის. ნელდება ორგანიზმის სხვა ფუნქციებიც, მათ შორის სუნთქვისაც — ის უფრო ნელი და ღრმა ხდება, რის შედეგადაც სისხლში ნახშირორჟანგის მჟავა და ნივთიერებათა ცვლის სხვა პროდუქტი გროვდება, რომლებიც ზემოქმედებენ თავის ტვინის სასუნთქ ცენტრზე, რაც იწვევს მთქნარებას. ღრმა და ნელი ჩასუნთქვისას სისხლი ჟანგბადით მდიდრდება. მთქნარებაში მონაწილე პირის ღრუს, სახისა და კისრი კუნთები კი ხელს უწყობს სისხლის მიწოდებას. ყოველივე ეს აუმჯობესებს ტვინის უჯრედების სისხლით მომარაგებისა და ცვლის პროცესებს. მთქნარებისას ადამიანი ასევე იზმორება, ამ დროს იჭიმება ხელ-ფეხი და ზურგის კუნთები, რაც ხელს უწყობს თავის ტვინის ქერქის ტონუსის შენარჩუნებას. სწორედ ამ პროცესს და კიდევ, თავის ტვინის მუშაობას ააქტიურებს მთქნარება უნდა აღინიშნოს, რომ მთქნარება სულაც არ არის ძილისა და მოწყენილობის თანამდევი. ამ დროს დაღლილობასა და მოწყენილობაზე ლაპარკი არ იქნება სწორი. პირიქით, ორგანიზმის ყველა სისტემა ამ დროს მობილიზებულია. საქმე ის არის, რომ ძლიერი ემოციური დატვირთვისას და საფრთხისას ირთვება მექანიზმი, რომლის დროსაც ადამიანი ნელა და ღრმად სუნთქავს, რაც იწვევს მთქნარებას. ამ დროს სისხლი ჟანგბადით ისება, ტვინს უკეთ მიეწოდება და ორგანიზმიც უკვე საბრძოლო მზადყოფნაშია. თუ დავუკვირდებით, მთქნარების დროს თავს უფრო მსუბუქად ვგრძნობთ, ორგანიზმი დუნდება და სასიამოვნო შეგრძნება გვეუფლება. ეს კი იმაზე მოწმობს, რომ მთქნარება ხელს უწყობს ემოციური სტრესის მოხსნასაც. საღამოს კი, დატვირთული დღის შემდეგ, ორგნიზმი მთქნარებით ცდილობს განტვირთვას და მშვიდი ძილისთვის ემზადება.

# ბამბის ბარი ტოკიოში

იაპონიის დედაქალაქის ცენტრში ბარი გაიხსნა, რომელშიც მსურველს შეუძლია თავი მრთველის როლში მოსინჯოს და ბამბის ქულასგან ძაფი დაამზადოს. დაწესებულებაში Tokyo Cotton Village ყველა კლიენტს უფასოდ ეძლევა ბამბა და სართავიც. მას შეუძლია იჯდეს კაფეში და რთას ძაფი, თან კოქტეილი ან ყავა მიირთვას. ოფისების უამრავი თანამშრომელი შედის ამ დაწესებულებაში კვირაში რამდენჯერმე, სამუშაოსგან რომ დაისვენოს და ამ მედიტაციურ საქმიანობაში ჩაეფლოს. ბარის მფლობელმა რამდენიმე წლის წინ ფერმა იყიდა, სადაც ბამბა მოყავდათ, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ იაფ იმპორტს ვერ გაუმკლავდებოდა და საკუთარ პროდუქციას ვერ გაყიდდა. ამიტომ მოიფიქრა, ბაბმა საკუთარ ბარში კლიენტების მისაზიდად გამოეყენებინა. ეს გათვლა სწორი აღმოჩნდა და მისი მოლოდინიც გამართლდა — დაწესებულებას კლიენტები არასდროს აკლია.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.